

დავით არახამია

დილის დუმილი



დავით არახამია

დილის დუმილი

თბილისი 2014

წინამდებარე წიგნი, დავით არახამიას
მეორე პოეტური კრებულია, სადაც სა-
გრძნობლად გამოიკვეთა შემოქმედებითი
სივრცის ის სფერო, როცა შეიძლება
თამამად ითქვას, რომ მეტაფორული
აზროვნების მადლი აღწევს გონების
საღ ლაბირინთებში, რაც გამოიხატება
ჭეშმარიტების, სიყვარულის, სიკეთის,
მამულის, ეროვნულობის შემეცნების
და მეობის განზოგადოების
კვარცხლბეჭად.

რთულია სიტყვასთან ჭიდილი... არ
დაიყაროს ფარ-ხმალი, წარმოისახოს
ახალი...

რედაქტორი: პაპუნა ქვარიანი

აწყობა, დაკაბადონება: თინა ქვარიანი

**გამომცემლობა: „თაქვერი“
დილის დუმილი**

თვალი ვერ უძლებს ფერების ლივლივს,
აისს დრუბელი გაუწალდია...
დარდივით დნება დუმილი დილის
და უხიაგი წლები გადიან.

ეს გული ისე დასევდიანდა,
ვედარ მაშვოთებს ვნების ძახილი;
ნათელს წყვდიადი ტანჯავს ნიადაგ,
ჟანგმა დაცხრილა ბასრი მახვილი.

არავინ უწყის ვის რა მოელის, –
როგორ იკვნესებს ჩემი ნაღარა.
არას შემარჩენს წუთისოფელი,
ვერ ეგუება გული ჭაღარას.

ვედარ დავდივარ, მე ნება-ნება,
ვედარ ვიშუშებ იარას ლექსით.
წავა დღეების თამამი წყება,
მომავლის კვარცლებეკს
გასანთლავს ღმერთი.

შეგუება

ცამ სისარტყელა შემართა მშვიდოდად,
იშვიათი და მიუწვდომელი;
ამ ალიონსაც ვერ ვხვდები მშვიდად,
რადგან განკითხვის ჟამი მომელის.

რადგანაც სიტყვებს მაშხალად ვცრიდი,
ლაუგარდს დასერავს ჩემი ფიქრები.
რადგან ცხოვრებას ჯახირად ვთვლიდი,
უბადრუკობის მგმობი ვიქნები.

ამ წუთისოფლის განვლილი წლები,
ვერ ესადაგა სამოთხის შვებას.
წინაპართ გვერდით დარჩება ძვლები,
სული უსასრულ განედებს სწვდება.

* * *

თუ ამოქმედდა
ღვთიური მადლი,
უმოქმედობის
თეთრდება ჩადრი.

და უცაბედად

მახსოვებ ვიყავი უმკაცრები ამაყ ფიქრებთან, გერ გამაკვირვებს მითი და ჭორი

გულდამბესლავი;
რადგანაც ჩანს, რომ აწმყო წარსულზე
მკაცრი იქნება,

კელარ ვიქები წრფელი გულით იდბლის
მწყემსავი.

პალავ გაკაკუნებ კარებს ჩაკეტილს და ვერ გშორდები;

იმედები კი უიმედობამ უმალ შეცვალეს.
ვწრიალებ, ვბორგავ, ვერ გამიგია რას

ველოდები,
რადგანაც ვხედავ, რომ ბედისწერას ვერ
ბავშვიალქ:

სივრცეს გავყურებ, მაგრამ სიკეთის არა
ჩანს პვალი,

ალბათ გამწირავს მოლოდინი უეცარ
რისხვის.

ლამის წყვდიადმა მომანათა ფერმქრთალი
თვალი

და სხეულს ზაფრავს უნიათო დუღილი
სისხლის.

* * *

სული აქროლდა, მიყვა ქარიშხალს,
ფერი ეცვალა ორპირ სამყაროს;

მრავლის მეტყველი ხვენება გახშირდა,

კუთხავ, ფარსმალი რომ არ დავყარო.

არ მინდა

ასე სწრაფად რომ გადიან წლები,
ცად მიიღოვის ამოსუნთქვა მიწის.
ცრემლებს იშრობს გულმხურვალე მთები,
მდუმარებამ სიმართლის გზა იცის.

კვლავ აკვნესდა სალამური ლერწმის,
არ მინდა, რომ ოცნებები ჩაქრეს.
მე, ცოდვლი მიწისა და ზეცის,
უფალს ვანდობ უკანასკნელ სათქმელს.

რომ შეგასმინო

კვლავ ნეტარებით მიღელავს გული,
უხმოდ ღუღუნებს გრძნობა მალული.
შევცემრი წყვდიადს სულგანაბული,
ტკივილს შეერწყა არღნის ჟღარუნი.

ამ უდიმდამო თაგისუფლებას,
გადაეფარა ბინდის სუდარა.
კვლავ დიონისეს ხმა მეუფლება,
რომ შეგასმინო ხვეწნა, მუდარა.

შენატრის

გულს რომ კორტნის სინანულის
განცდებია,
შთაგონებამ სული მკვეთრად ააკვნესა.
ცის ტატნობზე ცოომილებიც ბაცდებიან,
ელვამ ღრუბელს ფრთა მოსტება
ასალესად.

ბედურები წვიმის თქეშზე ოცდებიან,
სურნელებამ დეკა ლამის აამღეროს.
ღვარი მდელოს მირონივით მოსცხებია,
მზეს შენატრის ნაზამთრალი საქართველო.

ჟამთასვლის გამო

ქარმა დაკარგა ბრძოლის მაზანდა,
ღრუბელმა წარბი მწყრალად შეხარა.
გული ოცნებებს რიტმში რომ რგავდა,
ფიქრმა შეყარა მთელი ქვეყანა.

ჟამთასვლის გამო უფრორე ვმორცხვობ,
ვეღარ დავქრივარ თამამ ფიქრებით.
ოფლდათხეული იმითდა ვცოცხლობ,
რომ ვინუგეშო თავი სიზმრებით.

მომავლის ოწმენის

ადტკინებული ოცნების ტალღა,
ფანტავდა მხუთავ დამეულ უკუნს.
უფსკრული ხარბად აღებდა ხახას,
ბუ ბანს აძლევდა ზარების გუგუნს.

ამოანათა როცა პირიმზემ,
ამოჩირადდნდა მწუხარე სახე.
თქეშით დასერილ ვიწრო ბილიკზე,
გაყურსულია პირდია მახე.

თითქოს მოიჭრა სურნელი ქალის
და ავედევნე ირმების რემას...
მომავლის ოწმენის აქროლდა ქარი,
ვარსკვლავი იწყებს მზის ციტირებას.

კვლავ გუბუნებენ

მიწას შეავლო თვალი პირიმზემ,
გადმოიდგარა ალერსის სითბო –
და მონარნარე მწვანე პერანგზე,
მზერით შეუხსნა საკინძე თითქოს.

იასამანი ქათქათებს თეთრად,
მალ-მალე თავს ხრის თან მოკრძალებით.
უტყვი ლოდინით მაისი ფეთქავს,
კვლავ გუბუნებენ ზარზმის ზარები.

თვალს გვიხსნის

იმედის წყარო რაკრაკებს,
განახლებულა ბაგრატი.
ზვარში ხოხობი დავლანდე,
დაქქრის ცოცხალი ნახატი.

ფრესკებზე ცრემლი ციაგებს,
შებერებულა გელათი.
წარსულს თუ პატივს მივაგებთ,
თვალს გვიხსნის სხივი კელაპტრის.

ბრმა ადსარება

სხივმოღუღუნე დილის ზმანება,
მოიზლაზნება ვით ქარავანი.
განვლილ წყვდიადის ბრმა ადსარებას,
ვერ გამოხატავს სრულად ვერავინ.

არა, არ არის სულ ერთი ჩემთვის,
თუ არ ჩამოჰკრეს განგაშის ზარი...
და როს ერის ხმა გაზაფხულს ერთვის,
არ დაეხშობა სამზეოს კარი.

დღეთა წარსულთა მდგრიე ჩანჩქერი,
გადმოიდგარა თითქოსდა წამით.
ხრამებს ზემოდან ძლივსლა ჩავცქერი,
გახუნებულა თახსირი ჟამი.

* * *

საცდურის ძებნა
მოკვდავთ სენია,
ამიტომ ძლივსლა
ბჟუტავს კერია.

არ დაძაბუნდეს

ამ გაზაფხულზე მოულოდნელად,
იხვევლა გულმა ვაზის ყლორტივით.
იღუმალ ძალამ დამმუხტა ხელად,
და განვიმსჭვალე უცხო მოტივით.

მიწის ყივილი იღუმლად მესმის,
შორი ვარსკვლავი ვერ მათბობს მხოლოდ:
ჩემი წინაპრის ვიგრძენი ფესვი
და სახვალიო ჯახირით ვცხოვრობ.

არ მინდა ვიყო კაცი ჯაბანი,
გულს უფლის ხილვის მადლი სწადია.
არ დაძაბუნდეს ჩემი ჭაპანი,
რომ შევერკინო დღეებს დარდიანს.

* * *

როცა რაიმეს
ძნელად განვიცდი,
შვებას ვეძიებ
მხოლოდ ხატის წინ.

რომ მიმოვახლო

უცნაურ თრთოლვას ზმანებების მწვანე
ფერებით,
რამდენი დამე უმოწყალოდ გავათევინე.
სასწაულ ხილვით, იმ საოცარ მშვენიერების,
რამდენჯერ დარდსაც ბეჭე თავი
გავათელინე.
არ დამცდენია საყვედური და სამდურავი,
უდროოდ დაღლილს შემაშველე ხელი და
თვალი;
როგორი სევდით გბუტბუტებდი, რარიგ
მწუხარი,
გზააბნეულს რომ მიმანიშნე სიკეთის
კვალი.
ნუდა დამცინებთ ამნაირი ფიქრების გამო,
მალე მეც წავალ ამ ქვეყნიდან ვითარცა
მდგმური.
უფალო ჩემო, მე დღეს შენთან საუბარს
ვლამობ,
რომ მიმოვახლო შესაწირად მამულს ეს
გული.

* * *

შეუის მდინარე ნერვებაშლილი,
ღრუბელი ავდრის მაზანდას წელავს.
ბოლოს და ბოლოს ხელებგაშლილი,
ბუნება ითხოვს თვის ცისარტყელას.

არ ჩანს

გულმა ტკივილი ბოლომდე იგრძნო,
ცის კიდეს მძაფრად ეხვევა ნისლი.
ცრემლთა ნაკადმაც იდინოს ვინძლო
და შეიფეროს დაღვრილი სისხლი.

ვერას ვუხერხებ ამ წუთისოფელს,
გაყურსულია ტყე დაბურული,
აქ სულიერი არ ჩანს სათოფე,
არ მელოდება ხიბლი ურმულის.

შორს აუხდენელ ნატვრათა სევდამ,
კვლავ ამითრთოლა დაწვები ქარში.
გაწბილებული მწვერვალს კი ვხედავ,
მაგრამ არა ჩანს ზღაპრული რაში.

* * *

როცა მიხვდება კაცი,
გულს გული როგორ სჭირდება,
მაშინ ექნება ფასი
ადამიანურ დირსებას.

უნდა გავხედნო

მწვავს და მაწვალებს ისევ ეჭვები,
ქუხს სიყვარულის განცდა ფარული;
ამ მრისხანებას თითქოს ვეჩვევი,
მაგრამ სურვილებს გვერდს ვერ ავუგლი.

შევეზიარე თოვლიან დამეს
და ავედევნე ჩრდილებს საშინელს.
რომ განვერიდო დაგებულ მახეს,
უნდა გავხედნო კვიცი საჯიშე.

შესალოცია

აისის თქორი სწყურია მიწას,
ფიქრი ამდვრეულ მარულას მართავს.
გუნაპეტ დამეს როცა არ სძინავს,
განწყობა ფიცხობს საკუთარ თავთან.

არა ვარ მხდალი და არცა მორცხვი,
ქარის ზუზუნი მეუცნაურა.
დამის კოშმარი მკოცნის და მცოხნის,
შესალოცია დილის აურა.

როცა სიჭაბუქეს

ეს ხომ სანუკვარი ჭრელი აპრილია,
ჭალაში გოგმანებს ქათქათა გედი.
სიყვარული ხომ არც ისე ადვილია,
კაცმა თვითნებურად რომ სჭედოს ბედი.

ამ გაუცხოებულ ფაქიზ სტრიქონებში,
სულის დაყივლების მადლი მითესია.
როცა სიჭაბუქეს ხარბად ვიგონებდი,
დიდი გულისწყვეტა განცდის სინთეზია.

ავი ფიქრი

მიყვარს დამე სიარული,
ავუყევი ფერდობს მარტო.
დამურების შარი-შური
სიმყუდროვეს სიქას აძრობს.

მივაბიჯებ ბილიკ-ბილიკ,
ავი ფიქრი, ავად მართობს.
ეხ, რას ვიზამ, ეხ, სადა ხარ,
დაკარგულო მისამართო.

სიზმარი წუხანდელი

ცხოვრება ჩაეშვა ოცნების გრიგალში,
არა ჩანს სიმშვიდე, არ ფასობს ზნეობა.
საწუთრო აცრემლდა, გაბაცდა რიურაუი,
მეწყერმა ჩარეცხა შიშველი ხეობა.

მხრებით შესდგომია ცას ჩუმი მყინვარი,
სიზმარი წუხანდელი მგონია ცხადი.
აპა, დანარჩენი კვლავ ისევ წინ არის
და უფალს დავესესხე დუმილი დარდის.

როგორც უნდა

ხასხასებენ ველ-მინდვრები;
აგიჟმაჟდა ნიავქარი...
ოცნებით ზე ავიჭრები,
რომ ვაჟდერო უცხოდ ქნარი.

საწუთროს რომ ვაკვირდები
გულს ეგზება ბრაზის ალი;
როგორც უნდა ისე მხედნის,
ჩემი ბელი და იღბალი.

საკურთხეველთან

არავინ უწყის
ეს გზა სად მიდის;
გზას ვამბობ თორებ
სახრეა შინდის;
ცხოვრება თავზე
დამამხობს წისქვილს...
და ათინათებს
ჩაქოლავს ბინდი.
სურვილი დიდი,
განცდა მცირედი,
აღზევდა ფლიდი,
ჩაქრა იმედი;
საკურთხეველთან
ხოხვით მივედი.

* * *

დმერთმა ისმინოს ვედრება ჩვენი
და მოგვივლინოს მნათობი ბადრი;
არ განვიკითხოთ ცოდვები ძველი,
გავითავისოთ ცოდვა და მადლი.

ბოლმის სამსალით

აზვირთებულა გნიასი ქარის
და ლამის მისწვდეს მოვარეს ვნებიანს;
კლდეთა ნეკნებში გრგვინავს არაგვი,
ქარაფებს ზვირთი გადასწვდენია.

როს ვაიმედე გული ვნებული,
სული მოვითქვი საწუთროს ჩრდილში.
ბოლმის სამსალით დამდაბლებული,
განვიკურნები უფალის შიშით.

შენი თვალები

ეჰ, დამშვიდებას აღარ გვაცლიდა
ცის მეწამული დასალიერი.
დილით ნიავი თმას გივარცხნიდა
და გეცვლებოდა წუთით იერი.

სისხლში ვნებებმა ისევ დამქროლეს,
როცა მომესმა ჟდარუნი არღნის...
შენი თვალები იმ დღეს მაგონებს,
რომ ვერ ვუჭერდი სიყვარულს აღვირს.

ლირსების მადლი

ყოფის სამდურავს ხშირად ამბობდი,
ათას ქარცეცხლში გამობრმედილი.
გულს უხარია როცა გვარ-ტომში,
შეგეფეოება კაცი პეთილი.

ლვთის შემეცნება რადგან იწამე,
დაუძლურდება შენში ცდუნება.
ჯერ აუხდენელ სიზმრის წინარე,
ლირსების მაღლი გესალბუნება.

ქარი მუქალით

ცრუ იმედები აედევნა მუხდალ ჟამთასვლას,
ვეღარ ვმშვიდდები, ვეღარ ვუგებო
ერთი-მეორეს;
მოზღვავებულმა გულისცემამ დამცა,
გამთათხა,
წარსულის სითბოს ვეღარავინ გაიმეორებს.
გაუფასურდა ვარსკვლავეთის ბრდლვიალა
უბე,
როდემდე უნდა დაკემონო აუხსნელ მიზეზს.
ქარი მუქარით ატირებულ ფარფატა
ღრუბელს,
კპლავ სიძულვილის გაოცებულ თვალებით
უმზერს.

განცდა

რადგან დრო-ჟამი ვერ გუგუნებს ურმულს
ნიადაგ,
არ ჩაიყინოს გადახლართულ ვენებში
სისხლი...

და თუ მინდორი ყვავილებით
გადაბრდდვიალდა,
შემზადებულა სამსხვერპლოზე ჩაქოლვა
რისხვის.
კვლავ ჩაეხიდა ჩემი გული ბებერ იარებს,
რაც ვერ განვსაზღვრე წუთით მაინც
გავაზიარე;
ტკბილ-მწარე განცდას ქედი მაინც არ
მოვუხარე,
ბევრი ვცოდე და ვაცანკალე ბევრი სიამე.

კრძალვით ვეხები

სარ კენარივით მონარნარე და
მიუწვდომელი როგორც მყინვარი;
თავაწყვეტილი მიპქრის კარეტა,
გულის სწორი კი განა ვინ არი?...

ჩიტო დილით რომ გალობას იწყებ
სულის მალამოდ ათრთოლებ გუნდრუკს.
უნიათობას როცა არ მიწყენ,
კრძალვით ვეხები სამოთხის ურდულს.

როგორ ვაღმერთე

ვერ გამოვიჩენ მაშინ მე სიბრძნეს,
როცა ბერმუხებს დავკოცნი ფესვებს;
ეს უსასრულოდ გაშლილი სივრცე,
გაუცხოებას წკვარამში ეძებს.

ნუთუ ეს სხივი ისევ შენა ხარ?
მიუწვდომელი და მოდუდუნე;
განთიადისას მინდა მენახა,
ვნების ქარცეცხლი როგორ გუგუნებს.

როგორ ვაღმერთე ნატვრა ამგვარი,
როგორ გავჩარხე დროსთან ჭიდილი...
დღეს ზეობაა გულში ნათქვამის,
ეჲ, ოვითნებურად ცეცქავს წისქვილი.

* * *

გაზაფხულია, ზეცა ელგარებს,
მომძლავრებულა ცრემლი ლაჟვარდის;
დე, შევაფრინდე დრუბლის მწვერვალებს,
რომ შევიფერო მზისკენ ნავარდი.

უყოფმანოდ

უძირო დღეთა სიმძიმისაგან ვერავინ
მიხსნის,
ტრფობის ლადარში ვათუხოუხე ვნების
ბადაგი;
არ მემეტები არასოდეს ძვირფასო სხვისთვის
და ერთგულება შემოგვიცე კუბოს კარამდი.

აპა, გამოჩნდა ვარსკვლავების ცისფერი უბე
და უყოფმანოდ მივანიჭე ჩემს თავს უფლება,
აჩქარებული განვერიდო მომაკვდავ
ლრუბელს,
მოწყურებული ჩაგეხუტო
სულმოუთქმელად.

* * *

მძლავრობს ფიქრი არეული,
ოცნებაა მთვარეული.
დაედარა მზეს ასული
მწვერვალიდან ჩამოსული.
გაიპარა ჟამი ჩუმად,
შეიჭამა წლები უმად.
უთივთიკებს სული წმინდანს,
სინამდვილე ამობრწყინდა.

მაეჭვებს

საკუთარ თვალით ვცადე მეხილა,
გაუცხოების მზარდი სამყარო,
უნდა გავეგო სიყვარულს ხიდად,
რომ უკვდავების აჩქეფდეს წყარო.

ვერ ვაკონტროლებ თავს მეტ-ნაკლებად,
მაეჭვებს ცხადის სიზმრად გარდაქმნა.
ყველაზე უფრო ის მენატრება,
როს ტრფობის ეშხმა ბინდი გაფანტა.

არ მომასვენებს

სიტყვებს ვერ ვუყრი თავსა და ბოლოს,
მინდა გეახლო და გეამბორო.
შენი ხატების ეშხმა დამღალა,
არ მომასვენებს დარდი ამაღამ.

ვერ გავაზავე რადგან ფიქრები,
ფერფლების მუზად გადავიქცევი.
ჩემი ოცნების სიასამურო,
მაინც გეტრფი და მაინც ვხმაურობ.

რაღაც იცვლება

ძნელია, მაშინ მშვიდი ცხოვრება,
როცა გულს გიკლავს ტრფობა მალული,
როცა სამყარო გეუცხოება,
როცა ჩამუქდა გზა სინანულის.

ვნება, რომელიც სულში ბორგავდა,
თანდათან თითქოს ხდება დამყოლი...
რაღაც იცვლება, რაღაც მოგვარდა,
მაგრამ ოცნების საზღვარს დავშორდი.

თვალს თუ ამიხელს

კაცი ამაოდ თუ არ მოცდება
იქნებ გაუდოს კარი ოცნებას.

ძნელია ჩაწვდე მამულის ვარამს,
როს დამთხვეული მიდენის ფარას.

თვალს თუ ამიხელს იესოს მრწამსი,
ჭეშმარიტების ფიალას დავცლი.

ნაწრთობი ფიქრი

ჯერ ყველაფერი არ არს საგრძნობი,
რადგან ცხოვრება არ იცდის წამით.
აგურს აგურზე რომ ვერ ვაწყობდი,
ვერ ვიხალისე, არ მინდობს ჟამი.

ნაწრთობი ფიქრიც ნისლში ეხვევა,
თვალს ვერ ვუსწორებ ნაზმანებ ღიმილს.
მალე ხელიდან გამომეცლება,
მოჩვენებითი სიმშვიდის ხიბლი.

ჩემში

ნაჯახირევი წლები წავიდნენ,
ნეტავ რა მოაქვს დღეებს აწინდელს.
მეაჯებოდა ფიქრები მწველი,
გაურანდავი დამჩემდა ბედი.
დაისის მეხრის მესმის ძახილი,
ნამგალა მოვარე ცურავს დახრილი.
კვლავ მარტოობის მომძლავრდა შიში,
ჩემში, შენ მგონი ხელახლა იშვი.
თითქოსდა უცხო მათრობდა ქრეოლა,
მწვავდი და შენვე მესხმოდი თქორად.

შენი გარამი

შენი ხმა უნდა შხეფად გამიჯდეს,
რომ გაიფურჩქონოს ვარდი ნაგვალვი.
გაწბილებული ლამის გავგიჟდე,
გულს დამიოსებს სნება ამგვარი.

ნუ შეეცდებით, ვერ დამიზავებთ,
ვერ მაცდუნებენ ეშმას ლანდები;
თუკიდა ისევ არ გამიკარებ,
წავარამისაკენ მივექანები.

ნამქრით აივსო ყველა ხევ-ყურე,
შენი ვარამი, შენი კვნესამე;
ღმერთს მოწყალების თვალით შევყურებ,
მიმილე სულის მონათესავედ.

* * *

ვემზერდი ზეცას...
და თან მიკვირდა,
ყოფიერების
უმთვარო გზაზე,
ბინდი რომ მჩრდილავს
სიჭაბუკიდან.

არ ცხრება

გაგიღე გული როგორც ბჭისკარი,
ისევე ხვალის იმედით ვცოცხლობ.
უამთ-ჟამ როცა შენსკენ ვიჩქარი,
შორი ვარსკვლავი ციაგებს მხოლოდ.

ეს რა უზაროდ შემომათენდა,
არ ცხრება ზარი მოთქმა-გოდების;
ღრუბელი მთვარეს სითბოს ართმევდა,
გზიგარ ცივ ქვაზე და გელოდები.

უნდა შევება

მომეკითხება ბრალი და ცოდვა,
რა გულსაკლავად ატირდა თოვლი;
უფსერულის თავზე მომიწევს მოცდა,
შხუის ნამქერი სერებზე მწოლი.

სცრის სიცივისგან ნაფერებ ტუჩებს,
დაიქოშინა დამის მარულამ;
მაღალ მთას ნისლი კალთებს უმშვენებს,
უნდა შევება გრიგალს ძალუმად.

შენზე მლოცველი

გადაიცოცხეს ველზე ქარებმა,
ცას ცისარტყელა გადაეხვია;
მხარი ავუბი ამ მღელვარებას,
აუკიაფდა ცრემლი მზეწვიას.

ყველაფერი თუ ახლა იწყება,
მივჩქმალე კვალი მუხთალ წლებისა;
სასინანულოდ, დასაფიცებლად,
შენი თვალების ელვარებისა.

შენი მშვენებით რომ წამაქეზე,
ამბორის ეშხმა გაიჯეჯილა;
როცა გადნება ცვარი ბაგეზე,
შენზე მლოცველი ვრჩები შეშლილად.

* * *

თვალს ვერ ვწყვიტავ აქაფებულ ჩქერებს
და თან რაღაც უცხო გრძნობა მართობს;
დღეს, სულ სხვაგვარს გადმოვაფენ ფერებს,
რადგან ცაში ვხეტიალობ მარტო.

როს ჩაგაწანი

შენი ზმანება ამ გულს აქეზებს,
სულს შეეზავა ფიჭვნარის ღელვა;
მთვარის ნათება დნება ბაგეზე,
ეუცნაურა სიყვარულს ელვა.

ზღვა უდიდესი ფიქრებით მავსებს,
თითქოს ყოველი ახლდება ამით;
გაყურსულია ზაფხულის ღამე
და გაინასკვა შეგრძნება წამის.

იმ წამის, როცა ერთად ვიყავით,
როს ჩაგაწანი გულში ვარდები,
აპა, იღება ისევ ცისკარი,
აპა, ახლდება მადა აღგზნების.

* * *

ბევრი გზა-შარა მოვითარეშე,
გავაცისკროვნე სულის გალობა;
დავრჩები ერთ დროს წონის გარეშე
და მივენდობი უსასრულობას.

შევძახო

გასული წლების იმ სიმფონიას,
შეზავებია ყაყაჩოს ფერი;
სიმჟიდეს სუნთქვა აუწონია,
საჭირბოროტოდ ჩამოკრავს კვერი.

მაისმა უნდა გაიჯეჯილოს,
ჟამთა სიავე საოცარია...
ისე არ მინდა რომ ჩამეძინოს,
რომ ვერ შევძახო „ავე მარია".

ეს რა დამმართეს

ჩემი სამყარო ისევ იმდვრევა,
ვით მდინარე და ღელე წეიმაში;
გაუფერულდა სევდის სიმღერა,
ქედმოხრილი ვარ უფლის წინაშე.

თვით საბუთარ თავს გავასამართლებ,
ფიქრი ცრემლის ღვრას ვეღარ ერევა;
ეს, სურვილებმა ეს რა დამმართეს,
სასთუმლის მიღმა სული მელევა.

გადმომაყარეთ

რა დამავიწყებს იმ შენს მშვენებას,
ისევ ვაუდერებ სევდიან არღანს;
სხვათა მიწაზე ვერ ვპოვებ შვებას,
თუ სამშობლოში საყრდენი არ მაქვს.

რომ ვითავისებ ცრემლთა ნაკადებს,
მინდა, მივიკრა გულზე სამყარო;
არ მინდა სხვაგან კერპად გავქვავდე,
მინდა მამული ავაბალნარო.

უაზროდ ყვინთავს იანვრის ლამე,
გულდაკოდილი გავცქერი სიყრმეს;
ცრემლების მადლი გადმომაყარეთ,
სანთელი ფერფლად ქცეულა ვიდრე.

* * *

მინახავს მოძმე მე ბევრი
უარმყოფელი შედევრის...
და ვდიდგულობდი ვიდრემდი –
კისერს კისერზე ვიმტვრევდი.

ვერ ითავისე

რომ შეიფერო მადლი დიმილის,
უნდა შეგიპყროს უსაზღვროებაშ,
როცა დააფრქვევ ცრემლებს ძილის წინ
ედიდგულები ამაოებას.

თუკი აგიცდა ბაღნარში ფეხი,
ვერ ითავისე ვარდის ფურცლობა,
შრიალი მაინც შეიგრძენ ვერხვის,
არ დარჩე ჩემთვის გამოუცნობად.

თითქოს მეტოქე

უამი სევდიან მოგონებების
წარმოისახა სამოთხის დარად.
თვალების სითბოს კვლავ ვემონები,
კვლავ ავიფარებ ოცნებას ფარად.

ისე ეფარა მთვარეს ღრუბელი,
თითქოს მეტოქე არავინ ჰყავდა;
ეჲ, მაშინ ვიყავ გამოუცდელი
და ჩამოეშვა ჩვენს შორის ფარდა.

მამულს

იყო დრო, როცა ძაღლუმადურად
საერთო ბუხრის ალი გვათბობდა.
ცხადია, მაინც კრძალვით, ფარულად,
მამულის ტრფობა გულში სახლობდა.

წამოიმართა აპრილის სხივი,
გარდაისახა გრძნობის მაშხალად...
მარად ფასი აქვს მაშინდელ ტირილს,
ის შემართება კვლავ არ ჩამქრალა.

არ შემეფეთოს

როცა მომძლავრდა ფიქრის თარეში,
ღრუბელიც გაქრა თითო ოროლად.
გახვეული ვარ სევდის ბადეში
და ბანი მომცა ციდან ტოროლამ.

მზიდან მოფრენილ სიმღერის რაშით,
არ შემეფეთოს ავი სულები,
რადგან სიკვდილის გაქარწყლდა შხამი
და ყოფის რისხვას ვედიდგულები.

პვლავ ქაქანებენ

გამოდარებულ ცის ტატნობს კუმზერ,
ღრუბლები მზის სხივს კვლავ ეფარება.
კვირტის ფაჩუნზე და ჩამიჩუმზე,
ამხელს ალვის ხე მზის შეყვარებას.

როს დახრის მთვარე წამწამებს ნელა,
არ დააყოვნებს ღრუბელი ქვითინს.
დასჭექა ელვამ ავდრის სალხენად,
მიდამო ცრემლის ღვარცოფებს ითვლის.

მიუწვდომელის მარდი დინებით
რა გადასერავს ამდენ ტერასებს;
ეს მოფარფატე ცოდვის ჩრდილები,
კვლავ ქაქანებენ ბედისწერაზე.

* * *

ისევ აივსო საფერფლე შხამით;
უშნოდ გბუტბუტებ უღრუბლო
ცის ქვეშ...
მე შენს ზმანებას გამოვექეცი,
რომელიც დღემდე მოწყენით
მიმზერს.

განგების რისხვის

მწვერვალს მყინვარი ამშვენებს;
გული ატოკდა, ბორგავს გრძნობები...
მე, შენს გოლგოთას ვერ ავაშენებ,
თუ სამუდამოდ გემშვიდობები.

სულ სხვა სიახლეს ითხოვს სამყარო,
ვნება აჟყვება ქარის კარუსელს.
შენს წინაშე რომ თავი დაგხარო,
განგების რისხვის თარეშს გავუძლებ.

ვერ ამოვგლიჯავ

ცა ვარდობისთვის მანტიას გაშლის
და მონატრების მათრობს სურნელი;
იცი, იმ ხსოვნას ვერავინ წაშლის,
რადგან სათქმელი დაგვრჩა უთქმელი.

ვეღარ შევძელი მეტის ატანა,
სხვაგან ყოფნა კი არასგზით არ მსურს,
ისევ მივირთმევ ტრფობის სამსალას,
ვერ ამოვგლიჯავ გულიდან წარსულს.

დღეს ალიონზე

როცა აჩქეფდა სისხლი უებრო,
გულს ეფონება ქარის გნიასი.
ვერ გაიხარებს ვარდი უეპლოდ,
სევდის მაშხალას სულს ვერ მივაწვდი.

დღეს ალიონზე შორიდან ვუმზერ,
როგორ ალეწა მზის სხივმა დილა.
რა ეშველება ჩაცხრილულ მუზებს,
მათ ხომ ბურუსმა გააწნა სილა.

ძლივსდა

სიბრძნემ გააღვივა იჭვი,
უფლის განაჩენის მჯერა.
ოხ, ეს სავალალო ნიჭი
როგორ უთავბოლოდ მზვერავს.

ისევ მოგონება მათბობს,
მაცდურ განჩინების სწორი.
ძლივსდა მოღალანე მნათობს
მოვარემ მოუღერა ტორი.

რადგან ჩამქოლა

განწყობა ციცქა და სიფრიფანა, ბედმა რისხვისგან ვერ დაიფარა. მაცდური ხანი კვესავს რაც უფრო, ბინდისფერდება ჩვენი საწუთო.

მამული ჩვენი ფიქრის დურბელა,
შემომეცრიცა სიტყვა უთქმელად.
აწმყო წარსულის ლანდს ედავება,
შეუცნობელი რჩება ლგთავება.

არ იყოს მწირი და შესაბრალი
უკანასკნელი თავშესაფარი.
რადგან ჩამქოლა სეტყვამ ტრამალში,
სიკვდილ-სიცოცხლის მესმის თამაში.

* * *

არ მინდა გარეთ ხშირად
გახედვა,
რადგან სუსხია, შლეგი მარტია;
იმ დამის ცოდვამ მწარედ
დამსეტყვა,
მარტი მასავით უკუღმართია.

ვერ ვიხალისე

გაწმილებისგან ანატირები
ბაღში ყვავილთა კოცნას ვუნდები.
გაცრუებულა დანაპირები,
შევღონდი, ვეღარ ვგაზაფხულდები.

ვერ ვიხალისე მაისის თრობით,
ვერ ავუწიოთლე საწუთროს ლოფა.
დროს ვერ გავწალდავ განგების გმობით,
მოსახლენი თუ დროზე არ მოხდა.

ქარის გნიასი

ჩამავალი მზის მკრთალი დინება
წაკარამის ვარამს უახლოვდება.
თავი ფეხის ხმას ზლაზნით მიჰყვება,
არ ვიცი როდის თუ რა მოხდება.

თუ ავისრულე ხილული ნატვრა,
შენს ახლო-მახლო დავიდებ ბინას.
ქარის გნიასი რუხ დრუბლებს ფანტავს,
ვნების გრიგალი სხეულში გრგვინავს.

რას მიზამს

დავეძებ გაფაციცებით,
თვალს ვაწვდენ მზიურ არილებს.
ლირსი ხარ არ დავიწყების,
რადგან საფიქრალს არ მილევ.

სამსალას დავლევ, დამისხან...
რადგან ვაღმერთებ სიცოცხლეს,
აბა, სიკვდილი რას მიზამს,
მადლობას ვუხდი მირონმცხებს.

იმ სახვალიო

რა ჰაეროვნად გალობს ეს ჩიტი,
თოთქოს დნება და სანთლებად იწვის.
მინდა აგმაღლდე თუნდ ერთი ციდით
და უნდობლობის განვდევნო იჭვი.

რადგან მივყვები სევდის ყველა გზას
და ბედისწერაც მიმზადებს მახეს,
იმ სახვალიო ცარგვალს ვერ ვსახავ,
ვერ ვინარჩუნებ პირვანდელ სახეს.

აროდეს

ფრთებს შლის გული მდელვარე,
ტატნობს მისწვდა მწველ ჰანგით;
სათაყვანო კელაპტრებს
უბლვერს მტერი, ვერაგი.

გადავწონი გარემოს
ამ კალმით და ამ ფიცით...
უფლის დიდი სამეფო
ჩვენს ჭირ-ვარაშს განიცდის.

აროდეს არ წაიშალოს
რწმენა, ტრფობა, იმედი;
ერთობა არ მოიშალოს,
არ აბორგდეს მიღეთი.

* * *

განუკითხავი ცხადის ზმანება,
არის უხეში და თან თავნება.
როს ვერ მოთოკავ ვნების
ქარაშობს,
შენს ახლო-მახლო ეშმა
დარაჯობს.

წარუშლელია

გრძნობების სხივი მიმოიფანტა,
მეფობს სიწყნარე და სიმარტოვე;
მზე მოელვარე სახეს იბანდა,—
ოცნების ბაღში რომ მიმატოვე.

უცებ ავენთე, ვით ნაკვერჩხალი
და გამახსენდა იმ დამის სუსხი...
წარუშლელია წარსულის მადლი,
მარადისობას ქედს რომ არ უხრის.

ვერ ვითავისე

ფიქრი ტალღებად მეხლება გულზე,
ხეობის მიღმა შხუის ჩანჩქერი.
ვესათუთები სანატრელ წუთებს,
უკიდეგანო სივრცეს გავცექო.

ამ ქვეყანაზე მოვსულვარ სტუმრად,
არ ვარ მორჩილი, არც მედიდური.
ვერ ვუჩუქურომებ გასაღებს ურვას,
ვერ ვითავისე ცხოვრება მგლური.

ტკივილი ჩემი

ვინც უერთგულა მიწას და მამულს,
ვინც დაიხარჯა სულით ხორცამდე,
ვინც არ გაექცა სინდისს და ნამუსს,
მას სული წმინდა უნდა ლოცავდეს.

ვარ აკლებული მშფოთვარე განცდით;
ტკივილი ჩემი არ არს ახალი...
და ამ უბადრუკ სიცოცხლის ჩათვლით,
მუდრებ სიკვდილთან ვარ წილნაყარი.

გაწბილებით

გადამწვანდა არემარე
და გითრთოლებს სიო ღაწვებს;
ერთხელაც არ გამიღიმე,
ჩემი ცოდვა მხრებზე გაწევს.

ლამაზია ეს მთა-ბარი,
როგორც შენი მიხვრა-მოხვრა,
გაწბილებით ნირწამხდარი,
ძველ დუდუკში ძლივსდა ვვოხრავ.

უფსკრულის თავზე

შემართულია ხელი მსახვრალი
ქარიშხლის მერე ნაცრად შთენილი.
არარა რჩება გულს გასახარი,
ისე ვით ფერფლი ცად გაფრენილი.

გამოვექცი ჩრდილებს საშინელს,
დამიბრუნდება ვითომ ხალისი?..
ხვალინდელი დღის სუსხი მაშინებს,
რადგან იმედის ჩქამი არ ისმის.

კვლავ აციმციმდა ვნება ჩვეული,
ჩაიხითხითა ბინდში ბუნებამ.
უფსკრულის თავზე თავაწეული,
შევჩერდი სულის მოსაბრუნებლად.

* * *

მწუთხეა მწარე სიმართლე,
შორეთში გარბის მრავალი...
ეჲ, დროზე თუ არ ვივარგეთ,
ბექოდ იქცევა კარავი.

თუ ყოველივე

ნაქარწვიმარზე, საავდრო ნისლში
ამოიწვერა ნამგალა მთვარე;
ასე მგონია, ხელახლა ვიშვი
და ვარსკვლავები იფშვნეტენ თვალებს.

თუ ყოველივე არ არს ზმანება,
თუ ისევ ბრწყინავს ივერთ საუფლო,
გული მახეში აღარ გაებას,
უფალმა ყოფის არსი გვაუწყოს.

ერთად

შენი ზმანება სავსე მთვარეა,
იმ ხელის განცდა უნდა ვიწამო;
უშენოდ, აბა რა მიხარია,
სანეტარო და დაუვიწყარო.

დროა, იელვოს უნდა მაშხალამ
და გადასეტყვოს ბნელი მირაჟი.
ძარღვებში სისხლი ჯერ არ დამშრალა,
ერთად ვიხილეთ შობა რიურაჟის.

დე დამეკისროს

ის შენი მადლი რადგან ვიგრძენი,
მართალი გულის ზარმა დარეკა.
მარადიული სიცოცხლის გენით,
უსაზღვროებას მკურდში ჩავეკარ.

ვერტფი, სიცოცხლის სანუკვარ მაყარს,
სტრიქონებს შორის ვსახლდები თითქოს...
იმ განშორებას სიცივე ახლავს
და შენი ცეცხლით გათბობას ვითხოვ.

რა ვქნა, მივყვები აბურდულ ბურანს,
გულის ხვაშიადს მიწეწავს ქარი.
დე, დამეკისროს მე შენზე ზრუნვა
და გახდე ჩემი ნავსაყუდარი.

* * *

იდუმალია, შინაგანი
გრძნობა ყოველი.
უფასურდება წარმოსახვა –
დარდის მთოველი.

როგორც ძნელადვე იშუშება
კვერი ობლისა,
ასევე ძნელად განირჩევა
ბედი სოფლისა.

შემეცნება მიჭირს

ზამთრის დამეს გულამოსკვნით ვგოდებ,
ძლივსღა გსუნთქავ სიყვარულით ნაგვემი.
ვერ მივმხვდარვარ კვლავ დემონი მომდევს,
ვერას ვიმკი ცოდვის ცრემლის დამდენი.

მომეშველოს იქნებ შენზე ფიქრები,
ვითავისო ძალა ვარდის კისკისის.
შემეცნება მიჭირს ბნელი სიზმრების,
ქარს მიენდო ზარი ძველი ყინწვისის.

გულს დაეხვია

მომნატრებია უამი საამო,
განუსაზღვრელი ხიბლი ხალისის;
მინდა, იმ ტრფობის ალი დავანთო,
რომ ჩაიფერფლოს ბნედა დაისის.

როგორ გაბაცდა თეთრი ზმანება,
გულს დაეხვია ბურუსის რისხვა.
თვალს ბინდი ისევ აეფარება,
ღრუბელი ავდრის სუდარას მისწვდა.

სუნთქვის მადლი

სისხლიდან და ხორციდან
სხეულს ჭუჭყი მოსცილდა.
გავიყოლე წადილი
უკარება მანდილის.
უბოროტო ტყუილი
თანხვედრია დუმილის.
ღვთიურ შიშად მტკიოდა,
ხელს არ ვწევდი იოლად.
სუნთქვის მადლი მომწონდა
სიჭაბუკის კოცონთან.
სასო ნულზე დავიდა
საკუთარი თავითა.

ასე მგონია

ბუნდოვანია ჩემი სიზმარი,
ვერ ვითავისებ გმინვას, ვოდებას;
გზააბნეული სადღაც ვიჩქარი,
ვით დრო რომელიც არ მეორდება.

ასე მგონია, კვლავ გიბრუნდები
და უხილავი ციაგებს სხივი.
მაგრამ ვაი, რომ მბორკავს ხუნდები,
უსასრულობის სიავეს ვჩივი.

ტატნობის ზღურბლზე

უშინაარსო წლები მიჰქრიან,
მისხლობით გზომავ გაფრენილ წამებს.
რამდენ რამეზე არ მიფიქრია,
არ მიფიქრია, რომ მოვწყდე დამეს.

მესმის, ურიალი საკუთარ ნერვის,
თვალი მიჰყება ფერების ლიგლივს.
იმ შენს ხატებას ვერ ვანდობ ვერვის,
ზედ ჩაესარკა ქათქათი დილის.

არ ვიცი, სადმე იქნებ მელიან...
მიუსაფარი წლები გადიან.
უშენობა რომ ძალზე ძნელია,
დრომ მოდუნება არ მაპატია.

* * *

დააგვიანდა მერცხალს მოფრენა
და მსწრაფლ დააცხრა ის თავის
ბუდეს;
ძლივს გარდასახა ჭირი
მოლხენად,
რადგან გზა იყო ბნელი და
მრუდე.

ყავის ფინჯანში

აჲა, ღამდება, მთვარე ამოდის,
სიჩუმეს არღვევს შრიალი ხეთა;
სტრიქონთა წყობა აღარ გამოდის,
გით სატრფო ნაზი და დედისერთა.

ცოტაც და ალბათ ლექსიც გამოვა,
რადგან იმძლავრა სიტყვათა კონამ.
ყავის ფინჯანში ისიც ამოვა,
რომლისაც დღემდე ვიყავი მონა.

* * *

როგორ ყვითლდება, უხეშდება
ფოთლები ნაზი; –
შქერის, იელის, ნეკერჩხალის,
მოცხარის, ვაზის;
ოდესმე, მეც ამ ფოთლებივით
სიბერე მწყრალი,
მეწვევა, ტკბილ სვეს შემიკაზმავს
ცხოვრება მწარით.

ამ გულს

ჯერ არ ჩამქრალა ბოლო მნათობი,
ფანჯრიდან შენი ლანდი მიცინის.
დღეს სურვილი მაქვს მარტო დათრობის,
შავი ზღვის პირზე ტყდება ცისპირი.

ოცნებამ ბევრი ზღვა გადაცურა,
საწუთროს მხარი ვეღარ ავუბი.
ნაპირზე ყველგან ჯერ არ გავსულვარ,
ჯერაც არ უთქვამთ ყველგან აუგი.

ჩვენ გაზაფხული გვეწვევა მალე
და წამი წამზე დამამახსოვრე;
ამ გულს ასევე შევუხსნი კარებს,
ერთი დიდი დღის ცხოვრებით მცხოვრებს.

* * *

მზად ვარ, უნდა გემსახურო,
ერთადერთო საფიცარო;
ნუ, მოილტვი აქეთ დევო!
მხოლოდ ჩექმას გაცვითავო.

შემაბარბაცა

სხიგმოდუდუნე თვალები მიყვარს,
მოვდივარ შენთან უხმო გოდებით.
როცა ოცნება მზისკენ წამიყვანს,
გიმზერ და ცისკრის ზარს ველოდები.

გულს გახსენებამ შუქი მოჰფინა,
გაივლის კიდევ უამრავი დღე...
თითქოს უშენოდ არსად ვყოფილვარ,
ვერ დავეყრდენი იმ ძველ იმედებს.

სურვილებს ძალის მოკლებას ვამჩნევ,
შემაბარბაცა გულის დუღილმა.
რისიდა ვთხოვთ შენდობა გამჩენს,
როდესაც ვებრძვი ძალას უხილავს.

* * *

ბედს ნუ ემდური
და ნუ წუწუნებ,
უფალს ნაბოძებს
ნუ დაუწუნებ.

კვლავ მაიმედებს

დაიძრა ისევ ის ქარავანი,
ააჩხოიალეს კვლავ ოქრო-ვერცხლი.
ვაღარ ვიწამე რადგან ვერავინ,
თანაც სათქმელიც სრულადაც ვერ ვთქვი.

მივყვები ბილიკს ბნელს და ნაწვიმარს,
გამეფებულდა კვლავ უმეცრება.
სისხლი ამაოდ ხშირად დაღვრილა,
რადგან სამყაროს მრწამსი ეცვლება.

კვლავ მაიმედებს ნიავი დილის,
ესალბუნება სხივი ჩემს აწმყოს.
სკვინჩის ჭიკჭიკი, ვით გუდასტვირის—
მშვენიერ პანგით განწყობას ათრობს.

* * *

ზოგჯერ ადგილად გაარგავ,
რაც მოვიპოვე ძნელად...
გრძნობით დასეტყვილ სხეულს
დროზევე უნდა შველა.

უცებ

თვალზე ვიმშრალებ სიამის ცრემლებს,
კვამლივით მიაქვს სული ქარიშხალს.
კვლავ ჩავკირკიტებ ნადვლიან ლექსებს,
როცა ვარსკვლავთა ცვენა გახშირდა.

სადღაც შორეთში გაშიშვლდა სული,
ძლივსლა ვბუტბუტებ ფსალმუნებს,
ლოცვებს.

ვერ გავიკარე რადგანაც რული,
კვლავ მეყენეულად ვიხსენებ ცოდვებს.

უცებ მომესმა ზარების რეკვა,
ცისფერი ხატის მიღგას ნათელი.
დელგმა სხივების შხეფებს ირეკლავს...
და ძილბურანის ბანგით დავთვერი.

* * *

დღეს გუნებაზე მაინც არა ვარ,
თან გულსაკლავად მღერის მატიე...
კვლავ მახსენდება შენი თვალები,
როცა დალატი არ მაპატიე.

მტერს გულში

ბურუსით მოცულ გზას რომ მიღამპრავს,
ამ გაზაფხულის ღიმილს რა ვუყო?..
ვინ მომიშვებს გახსნილ იარას,
გულს სიყვარულის ცრემლს ვინ გაუყოფს.

უსაზღვროების გაიხსნა კარი
და ვარსკვლავთ კრომა მომძლავრებულა;
სივრცეს გავცეკრი, გრგვინაგს ცის ზარი,
ვეღარ ბობოქრობს ქარი შლეგურად.

მგონია შევძლებ სიტყვის თქმას ისე,
ამ მიწას მკერდი რომ დავუნამო.
მტერს გულში როცა გუყრიდი ისრებს,
აღმოხდებოდა კვნესა მიდამოს.

ერთად ჩავქრებით

ჯერ კიდევ ბუტავს
 თაფლის სანთელი,
 ერთად ვიწოდით,
 ერთად გავძელით.
 ერთად წაგვლებავს
 ვნების ჩანჩქერი.
 ერთად ნაღვაწნი,
 ერთად ჩავქრებით.

დაისის ბულში

ჩემს ყოფას ყავლი თუ არ გასვლია,
გაქრება ჟამი გლოვა-გოდების.
რადგან გვერდს კუვლი გიჟს და აგზნიანს,
თავს ვინუგეშებ წრფელი ლოცვებით.

კვლავ ვერ ვივიწყებ წარსულის ვარამს,
წუთით კაშკაშებს მზისებრ სამყარო.
ფუჭ ოცნებებთან თამაში კმარა,
დრო ჟამს აბჯარი უნდა ავყარო.

* * *

ისე პირფერად შემომიძვრა
სულში წუხილი,
გაგდება მისი, კარგა სანი
არ მიფიქრია,
მაგრამ როდესაც ამაფეოქა
გრძნობამ ქუხილით,
თავზე გრიგალი დავატეხე
აზრებს ნისლიანს.

არ უადვილებს

გული გაწყალდა ოხვრით და კვნესით,
დათუთქულია სოფლის შარა-გზა.
მიმოვიქანცე ფიქრების კემსვით,
ბუს შეკივლებამ სულ მოლად დამზაფრა.

ისევ ციაგებს ნათება მკრთალი,
ოხვრა აღმოხდა ალვის ხის ფოთლებს...
და ნაწვიმარზე ალალმართალი
ვერხვის ტოტები ცრემლებმა მორთეს.

ახლად აქოჩრილ ბუნების მსგავსად,
მინდა, სამყარო გავდეს სამოთხეს.
ეჲ, სხივმოფენილ კვარცხლბეჭვზე ასვლას,
არ უადვილებს ზენა შემოქმედს.

ელვის ეშხი

ვარდობისთვის მიწურულში
აცისკროვნებს მამულს დროშა.
სიხალისე ფეთქავს გულში,
სულის ქროლვა ერწყმის ლოცვას.

მოავლინა შემოქმედმა
ელვის ეშხი წამიერი...
გუგუნებს და იგუგუნებს
ქვეყნის მრავალქამიერი.

მხოლოდ იმას

მომწონხართ, მაგრამ ვეჭვობ,
რომ ვერ გამიგებ ვერას,
ერთმანეთს ძირფესვიანად,
არ გავცნობივართ ჯერაც...

კვლავ თავს ვიკავებ, ვწრიალებ და
ერთ ადგილს ვბექნი,
მე შეგიყვარებ მხოლოდ იმას,
შენგან რომ შევქმნი.

გზას ცხოვრებისას

შენზე ფიქრები აღარ მასვენებს,
დილა არის თუ დამის ბინდია.
ჩემს დამჭკნარ ღაწვებს ცრემლი
ასველებს,
რადგან ალერსი შენი მწყურია.

ეს, ყოველივე მგონი გაქარწყლდა,
რადგან ოცნების ყინული გალლვა.
დამის კოშმარებს სხივებად ვსახავ,
რომ განვერიდო ბოროტის ზრახვას.

ბეწვზე კიდია წარსულის სიმი,
თვალს ვერ ვუსწორებ შენეულ ზეცას.
წელგამართული დიდხანს ვერ ვივლი,
გზას ცხოვრებისას ძალუმად ვკეცავ.

დე დამიამე

ხილულ სამყაროს სიმშვენიერე
ნანატრ სიამის გასაღებია.
იმ სიკეპლუცეს ისევ იფერებ,
ნარნარებ როგორც ანცი ფერია.

პოდა ეს ხიბლი აღარ მასვენებს,
მსურს სიახლოვის სიმი ვაჟდერო.
კრძალვით გავცქერი სივრცეს ნაფერებს,
დე, დამიამე ვნება ჩანჩქერო.

ბევრჯერ დავხარე

სიცოცხლითა და სილადით სავსე,
გაიციაგებს ჩვენი ბავშვობა.
მოგონებათა მირაჟი მავსებს,
ზენიტს აღწევდა სულის ნათლობა.

ბევრჯერ დავხარე თავი ძალუმად
და სიყვარულიც ბევრჯერ გაფრინდა.
მარადისობის სიმი გაბმულა,
ეშმა აჟღერებს დროის საწინდარს.

ამ ჩემს სინანულს

მოასკდა ბინდი კვლავ სულის სარკმელს,
მიმოიქნია დემონმა პვერთხი.

დამთხვეულ სახეს ვერ ვარქმევ სახელს,
თვალს არ შეაშრა ცრემლების წვეთი.

ნაცოდვილარი და ნაწამები,
გატრუნული ვარ ბედის სასწორზე.
უნდა დავძლიო შიშის წამები,
წელში როგორმე უნდა გავსწორდე.

ამ ჩემს სინანულს არ უჩანს ბოლო,
ხვალ სულ სხვა უნდა ვეძიო ხიბლი.
დარდის საღამურს ვაკვნესებ მხოლოდ
და სასიკეთოდ ნიღაბს ვერ ვიცვლი.

გაუფასურდა

მრავალი სახე მიცქერის რისხვით,
გამძაფრდა ქარი მრისხანე დღეთა.
ცრემლიან გზაზე ვაებით მისვლით,
მიუკარებელ სიჩუმეს ვხედავ.

მოგონებების ორომტრიალში,
დაღლილი ფრთებით ზანტად დავეშვი.
გაუფასურდა უამი ტიალი,
სივრცის და ზეცის სისადავეში.

ვერ ცხვება კვერი

მოძალადეთა თარეშობს ჯერი,
ჩამესმის ექო წივილ-კივილის.
თავისუფლების ვერ ცხვება კვერი,
ვერ განიკითხავს ტკივილს ტკივილი.

ერის დიდების თავგანწირვისთვის
ბედისწერამაც იმელაკუდა.
გაუფასურდა ძალა თილისმის,
ჩვენი წილი ცა სხვას ხურავს ქუდად.

დამუხტულია

ამდენი შური, ამდენი ზიზდი,
არ გადაიქცეს ჭექა-ქუხილად,
არ დაიღვაროს უმწიკლო სისხლი,
სხივი მოპფინოს ზენაძ უხილავს.

დამუხტულია ღრუბლების წნეხი,
მოუთოკავი გული გაცივდა.
კარავს ანაზდად დაეცა მეხი,
მოკვდავი იმკის ხვალის საწინდარს.

ჩააწიკწიკებს

ამდენ წიოკში კვლავ დამათენდა,
გაყურსულია ნაგვემი დარდი.
მზე ძველებურად ვერ ანათებდა,
რადგან აცივდა და რადგან ბარდნის.

არ მობეზრდება თარეში ავსულს,
გამოღვიძებულ სულშიაც ბნელა.
ჩააწიკწიკებს ბწყარედი წარსულს...
და ჰა, იქუხა მომავლის ელვაძ.

მაგრამ უშენოდ

ფიქრი ტალღებად მეხლება გულზე
და მენატრება ჩქერი ჩანჩქერის.
გიახლოვდები ოცნების ზღურბლზე,
როცა უსაზღვრო სივრცეს გავცერი.

პა, ნაკვერჩხალი ღვივდება ძველი,
გული თბილ ღიმილს ძლივსდა იმეტებს.
კვლავ თავს მახსენებს იარა მწველი,
უიმედოს რომ მოგვრის იმედებს.

გამიფერადებს მშვენიერ წამებს,
მადლი უფლისგან ნაცხებ მირონის;
მაგრამ უშენოდ დატანჯულ დამეს,
ვერ აცისკროვნებს მზის საფირონი.

* * *

გაისმის დაცვენილ ფოთლების
შრიალი, გოდება;
გარემოს ამგვარი ცვლილებით
მიწა ოქროვდება.
გამვლელო ნუ ერჩი ამ ფოთლებს,
ფეხით ნუ გათელავთ;
ეხ, მაინც ცოტა ხნით ანათონ
მოწყენილ სანთლებად.

* * *

არ მომასვენა ქარბუქმა,
დრო და დრო მწარედ ვკვნესოდი;
ცხადია, ამ მწუხარების
გაწამაწიას ველოდი.

ვის ესმის ჩემი გოდება,
ვაი-ვიშვიში, ტირილი...
ვჲ, მოსახდენი მოხდება,
ტკივილს განკურნავს ტკივილი.

მახსენდება

აუგი და ბილწი სიტყვა
მოწანწკარებს წყაროსავით;
თვალით კარგად ვეღარ ვხედავ,
მიხმობს მადლი სალოცავის.

როს ჩოჩქოლი გამძაფრდება
ულმობელი დგება წუთი.
ცისკრის ცინცხალ განათებას
სამადლობელ სტრიქონს ვუძღვნი.

როს ოცნება ფიქრში ჩავრგე,
იფანტება თითქოს ნისლი.
მახსენდება შენი ბაგე
და ძარღვებში ყივის სისხლი.

სულის სახადი

რამდენი რამე მინახავს,
რამდენი ავის ქუხილი.
გჲ, კაცი ზოგჯერ წინა ხარ,
ხახ დაგაოსებს წყურვილი.

ვერ გამიგია რატომდაც,
ვინ ვისთან, რისთვის დავობდა...
კენარის ტოტი ჩამოხმა,
ხავსიც უდროოდ დაობდა.

სხვა როგორ გითხრა სათქმელი,
როგორ გავწალდო ნარანდი;
სულის სახადი ავცერი,
შენი ვარ კუბოს კარამდი.

კვლავ შრიალებენ

დრო მერმისიდან შემომეფეთა
და დააგბორა ცა ლურჯი ტბებით.
აღზევებულა სულისკვეთება,
შეუცნობელის შეცნობით ვტკბები.

უზენაესის განაწესებით
დუმილის სიბრძნეს მოვიმკი სესხად.
კვლავ შრიალებენ დილით ვერხვები,
ლაჟვარდს კვლავ ღრუბლის ძაძები ეცვა.

ვერ ავიცილეთ

სისხლის დვარების ტალღა აჩქეფდა,
თავს ატეხილი ავდრის ფერებით.
ძარღვების ტოკვა ლამის გაჩერდა
და დაემეწყრა მამულს კერები.

ეშმაკთან ბრალი ვედარ გავყავით,
ვერ ავიცილეთ რისხვა ქაოსის...
და შემზარავად ისმის ნაკნავლი
სულში სასოთა სასაკლაოსი.

რომ ესადაგოს

გავითავისე შიში და კრძალვა,
გადახსნილი აქვთ ძარღვი ქარაფებს.
გული ბოლომდე ვერაფერს მალავს,
განკითხვის ქომაგს არ ვთხოვ არაფერს.

ლეგა ღრუბლებმა შეიცუნდრუპეს,
გადმოაფრქვიეს ცრემლი მალიმალ.
წყვდიადი უკრავს ხვნეშით დუდუკებს,
ცოდვით აღსავსე მძორი გალიგვდა.

ვერას მიშველის წუწუნი, კვნესა,
უკან დახევას ვერ ვითავისებ;
მინდოდა რაღაც არაკი მეთქვა,
რომ ესადაგოს იმ დღეს ხვალინდელს.

მომავლის რწმენას

მზით შენაფერი დილის ღიმილი,
როცა დაკოდილ გულს ამიჩქროლებს,
თითქოს ნათდება შვების ბილიკი
და ვიახლოებ იმ შენს სიშორეს.

წარსულზე ფიქრი სულს ედვინთება
და უნდობლობის გიჟმაჟობს ქარი.
ზლაზნით მივყები დროთა დინებას,
რომ ვაცოდვილო სიმრუდე ქნარის.

მზის მწველ ამბორით ჩამარჯვებული,
ტატნობს ეხება მუხის კენჭერო;
იმ გაწბილებით დამარცხებული,
მომავლის რწმენას უნდა გეფერო.

ებლაუჭება

ასე დამწველად და უსაშველოდ,
ჩემს სულის სარკეს თუ ამიტირებ.
უბიწო ცვარი გუგის გარშემო,
წამწამზე ცრემლად გაინაპირებს.

რადგან დვარცოფმა ისე ჩარეცხა,
ცხოვრება უნდო და დაზაფრული,
ვერ გავიმრთელებ ამ გულს ნამეხარს,
ებლაუჭება კარს აღსასრული.

ნეტარება

რა დრო გასულა... და აი დღესაც,
გეპეპლუცები ვნებას გარეწარს;
იგივე მიწა, იგივე ზეცა,
ალერსის სითბოს კვლავ თავს მალექავს.

ის ნეტარება ფრთებს გამომაცლის,
ზეცისკენ ქროლვა რომ მომინდება.
დრუბელი ლაჟგარდს უმწეოდ აცრის,
მთვარეს ეამა მზის გარინდება.

მოვალე შენთან

ხშირად ძალუმად ტკბილ მოუბარი,
ტკიფილის კოშმარს ვერ ვუსვამ წერტილს.
ეკალ-ბარდების ცელით მკაფავი,
ბრძოლის მაზანდის საქებარს ვწერდი.

შევციცინებდი მზეს და მნათობებს,
ალალი გულით მეზვრე, მეტყევე.
სისხამზე სხივი თავს რომ მაწონებს,
ჩანგი სამღერლად ავამეტყველე.

გულგასენილს და სულდამძიმებულს,
სიახლის ხილვის განცდა გამიქრა;
მძიმე სვე-ბედით გაწამებული,
მოვალე შენთან და გულში ჩაგიკრავ.

თითქოსდა ვაგებ

მოწყურებული ეშხით დავთვერი,
დაწვებზე ნამი ცრემლის წვეთია.
გაცისკროვნებულ სივრცეს გავცქერი,
ნაოცნებარიც თან დამცდენია.

ელვად გიხილე ნაზმანებ შუქში,
გაბადრულია თეთრი ოცნება.
მინდა დაბრუნდეს რაც იყო გუშინ,
მოუსწრებელის მინდა მოსწრება.

შენი ტრფიალის ალმა დამბუგა,
რა შეედრება იმ წამებს ნეტარს.
თითქოსდა ვაგებ შენოან სასოფლაოს,
ახლოს მოსვლას კი მაინც ვერ ვბედავ.

ვერ ვეღირსე

სიკვდილამდე ვარამს ვლესავ,
საწუთროს ზედ დავაკვდები.
სიცოცხლეში გულს მიხეთქავ,
როს ჩავქრები დაგაკლდები.

ვერ ვეღირსე მზისებრ ამბორს,
ვარსკვლავს ყანწი ვერ მივართვი.
რადგან შემცბარ მართალს ვამბობ,
შორს ვერ წავალ ამ სიმართლით.

როს გულგრილობა

ერთ, გაუსაძლის კუნაპეტ დამეს,
ორეული რომ შემომეფეთა,
მხოლოდ და მხოლოდ ვიფშვნეტდი
თვალებს,
ვერ მივაწოდე თასი სეფეთა.

გაუცხოების ანდამატია,
ვერ გავარჩიე უცნობ-ნაცნობი.
როს გულგრილობა არ მეპატია,
გაქარწყლდა ქამი აზრის გავრცობის.

რომ რწმენა შემრჩეს

ისევ ავანთებ კოცონს სანუკვარს,
რადგან ოცნების სანთელი ჩაქრა.
დღევანდელობის ურვას ვერ ვძუხტავ,
ვერ ავიცილებ განგების ლახვარს.

რომ გამოვადებ სამყაროს სარკმელს,
ვედარ ვერევი გულისთქმის ვარამს.
საგალობელის საკმეველს ვაკმევ
და მოსახდენის სიმძაფრე მზარავს.

სინათლის ჩქამი მოაწყდა კედელს
და ცისარტყელად აიჭრნენ ცაზე.
სვალინდელი დღის სითბოს ვავედრებ,
რომ რწმენა შემრჩეს იმედით სავსე.

არ იქნება

აუშვია აფრები
წყლის ჭაღებად სანავეს;
ისე როგორ ჩავქრები,
რომ არ შევკრა სატივე.

როცა არის თამაში
სიკეთის და სიაგის,
არ იქნება ლამაზი
გმობა ბუღაში ნიაგის.

მოვარის აჩრდილთან

როგორ ცვდებოდა, როგორ წყდებოდა,
რაც იდებოდა იმედის ხიდად.
როცა ავსული გამოჩნდებოდა,
აჩქეფდებოდა ცრემლების წვიმა.

ყოფიერების ლაბირინთებში,
ძნელია მშვიდად იხეტიალო.
საჭირბოროტო სიმწუხარეში
მოვარის აჩრდილთან ვიწყებ დიალოგს...

სანთელს დავანთებ

რადგან მაშინებს დღეს უბედობა,
ვერ გადავლახე მოკლე გზა-შარა.
შეძრული სულის უიმედობა,
შენმა ზმანებამ წამით წაშალა.

მეალერსება გრილი ნიავი,
ზეცას შევუურებ დიდი იმედით.
რადგან არა მაქვს შიში სიავის,
საკურთხეველთან კრძალვით მივედი.

სანთელს დავანთებ, თავსაც დავუხრი,
მოლოდინს არ აქვს ზღვარი და კიდე.
განგების რისხვას საკენკს ვერ ვუყრი,
ოცნებებს ხატად კედელზე ვკიდებ.

ვერ გაძაგებ

სიმწარემ და სიავკაცემ
ვერ დააცხო ტკბილი ქადა.
ურვა ქოშინს მიათმაგებს,
უშნოდ ძიძგნის ყვავი ნადავლს.

უუტიფრად გიმხელ ცოდვებს,
უპარებავ ცათა სწორო;
ვერ გაძაგებ ვერასოდეს,
მიწასთან რომ გამასწორო.

აღგზნებამ

სარეცელს აწვიმს სევდის მუსიკა
და გათელილი ცახცახებს ნოტი.
ვექილიკები სივრცეს მუზით და
ვერ დამადუმებს ვერარა შფრთი.

როცა ირწევა მთელი სამყარო,
აცისკროვნდება მაესტროს ხიბლი...
აღგზნებამ წელში უნდა გაგმაროს,
განგაცდევინოს ახდენა სიზმრის.

გველირსება

დარდი დარდზე უარესი,
ფიქრი ფიქრზე ნაშენი;
ნეტავ, როდის გამოჩნდება,
ღმერთო გზა და საშველი.

ჩაფერფლილი იმედები,
ჩამომჭკნარი იები;
თავს ვიტყუებ უცოდველი
ცოდვის მონანიებით.

ცრემლიანი მოლოდინი,
დაპირება მაცდური;
ელირსება? – როდესმე კაცს
ყოფა კაცურკაცური.

କବିତା

დაურვებული გრძნობა,
დადუმებული ბაგე.
ერთად ოცნების კოშკი
ვერ იქნა, ვერ ავაგეთ.

ამ ნატევიარი გულით,
როცა ძნელდება სუნთქვა,
რატომ არ გეხმის ჩემი,
რისხევა სრტიქონებს თუთქავი.

რომ მთელ დუნიას

მინდა, სიცოცხლე პეტელასაგით,
ოუნდაც სამი დღე,
რომ ეს სამყარო მცირეოდენ
სიკეთით ვქარგო;
ბოლო წუთზე კი ტერენტივით
ისე გავგიყდე,
რომ მთელ დუნიას საქართველოს
სურნელი ვამცნ.

პვლავ ზეცისაკენ

დაუდეგარი ჩემი ფიქრები
უსაზღვრო სივრცეს შესჭიდებიან...
მე მათ სრბოლაში ვბორგავ,
ვიღლები,
ისინი მაინც არა ცხრებიან.

ხან გადუქროლენ ვასკვლავებს
თავზე,
ხან დედამიწის ქერქში ძვრებიან,
ზოგჯერ ცეკვავენ ავარდნილ ალზე,
თითქოს ეძებენ ალქაჯს თმებიანს.

ზოგჯერ ცხოვრების
ორომტრიალში
მეტეორიფით დაეშვებიან;
ამ უსასრულო სრბოლა, ყიალში,
პვლავ ზეცისაკენ აიჭრებიან.

გინდა?

ჩიტო, ჩიტო დაბუა!
შენც სიყვარულზე გალობ...
მახეში ვინ არ გაბმულა:
ვაჟპაცო, თუგინდ ქალო...

ყველა სულიერს თან სდევს,
რაღაც შიმშილის განცდა;
გინდა? სიზმარი ახდეს, –
ნუ ითაკილებ დაცდას.

არ იქნება

რა ჯობია, როცა ხედავ,
როგორ ყვავის მინდორ-ველი;
რა ხანია ასე ხდება,
ჩემს გაზაფხულს კვლავ
მოველი.

მაგრამ ვიცით, არაფერი
არ იქნება სამუდამო...
გავაგორე კამათელი,
რომ მტერს გული
გაგუხარო.

რადგანაც

ეშმა კუდს აბამს აფრაზე,
გაპკივის რა ენაღვლება.
ზღვას ზენა ქარი აბრაზებს
და ააყევებს ტალღებად.

რის მაზანდა, ან რის ფარა,
განგებამ თუ არ ინება.
საზღვარს ვერ კვეთს ის ჩქარა,
ვინც ცდილობს დაშოშმინებას.

რადგანაც სიმწრის ოფლი მდის,
იმ დაშვებული აფრიდან,
ვარსკვლავის წყვეტის იმედი
გალაქტიკაში გაფრინდა.

ვერ ვიადვილებ

ამ უკუნეთის უმწეო ბოლმა
ვერ აფუცხუნებს ხვალინდელ კოკორს.
ძაბუნად თავი დახარა ზოგმა,
ზოგი კი ჯიქურ მოაწყდა გოდოლს.

გული აეწვა სანუკვარ სერებს,
ვაზის ყლორტების სიფითრე გაცვდა.
ვერ ვაგვირისტებ ბუნებრივ ფერებს,
ვერ ვიადვილებ სიკვდილის განცდას.

მოვუბრუნდები

მუშტისოდენა ფიფქები ცვივა,
აკვალიანებს მტრედები მუზებს.
ისევე ისე, ისევე ხშირად
ამ ჩემს ცხოვრებას ჭოგრიტით ვუმზერ...

და უდიმდამოდ როცა თენდება,
მოვუბრუნდები საოქმელს თავიდან.
ვარდის კოკორი ისეგ ფეთქდება,
მაშხალა ისეგ სტყორცნეს ნავიდან.

სიხარულს

თითქოს ვბერდები დღეს ნაადრევად
გულუბრყვილობის გაცვდა საზღვარი,
ასე მგონია არ გაავდრდება,
ასე მგონია ცისკენ გავქანდი.

გერ ჩავეჭიდე ვარსკვლავებს ხელით,
ყველა უცნაურ გზაზე წავიდა.
თავს რომ მახსენებს ცხოვრება ძეელი,
საწუთროს ძებნას ვიწყებ თავიდან.

მინდა, რომ ვიყო ხალისიანად
და დავაპკურო ცრემლი იარებს.
ამ შემართებას, იცი, ქვია რა –
სიხარულს მაინც გაგიზიარებ.

ისევ

გული, უმოწყალო ყვავილს
ნექტარს უსურვებს საზრდოდ.
სული უმწეოდ ღნავის,
გით ვფარცხო ველი მარტომ.

ვერ ჩაეკონა სივრცეს
ჩემი ზმანების ხიბლი.
ისევ აჩრდილებს მივსდევ,
ცრემლის ღაპა-ღუპს ვითვლი.

უანგაროდ

ვერც ახლა და ვერცა ძველად,
გზას ადვილად ვერ ვკვალავდი.
გავახარე ვარდი ძნელად,
შევამოკლე დღე ხვალამდი.

ჰანგი გულის ვარამს ამხელს,
ხშირად ანცობს ცხადი ძილში.
უანგაროდ ვინც თავს დასდებს,
კვარცხლბეგია ქართულ ჯიშის.

მაურუოლებს

გრიგალს რომ ვებრძვი უტეხი ნებით,
გულს ეფინება ჰანგი ნალარის.

კვლავ გადვივდება ლადარი ვნების,
შენდობას ითხოვს ცოდვა იმ ლამის.

ჩანჩქერის ზვირთი ლარავს ქარაფებს,
სიმების წკარუნს ახშობს ხმაური.

აისის სხივი მყინვარს ანათებს,
იღვიძებს გრძნობა ფერ საცნაური.

სიცოცხლე ჩემი არის წუხილი,
შორეულ მნათის აელვარება.

შემაურიალებს ელვის ქუხილი,
სამყარო ბეზოს დაედარება.

ვერ გამიგია

უმარტივესი ყოფა
ნასაზრდოები ნიჭით,
დაგმობს სულიერ ლპობას
აკენწლავდება იჭვი.

მოგონებები გაქრა,
ლურჯ ოცნებებში მკრთალი;
ვერ გამიგია ახლაც,
გის გავუსწორო თვალი.

ჩემი რისხვა

იმ ხსოვნას ვერ დავაძველებ,
რაც რომ ჩემში ხარობს;
შავს თეთრად ვერ ავაჭრელებ,
სხივს ვერ მოვწყვეტ ტატნობს.

ვერ ავყვები საჩოთიროდ,
საწინსვლაო მრუდე კიბეს.
ჩემი რისხვა მაცოდვილებს,
რეტდასხმული მივსდევ ირმებს.

მზის მოიმედე

გალუმპული ვარ და ლაფი მთითხნის,
სულით და ლექსით შენზე მღოცველი.
ვარ აღრენილი ყოველთვის თითქმის,
არ მინდობს ბეცი წუთისოფელი.

და ამ ცოდვების ორომტრიალში,
როგორდა ვთხოვო შენდობა ზენას;
გაუფასურდა სხივი იაზმის,
რწმენის ზეობის უფრორე მჯერა.

იმ უსაშველო ელჭექის შემდეგ,
სივრცესთან ერთად თითქოს ვმშვიდდები...
და მოდაჟდაჟე მზის მოიმედე,
შესციცინებენ ზეცას ჩიტები.

სულ სხვა

ოცნების ქარი ქროდა,
სხივი მინათებს წარსულს.
შენი სურნელი პქონდა
ამ მოგონებებს ჯვარცმულს.

შეხმატკბილებულ ჟღერას,
სულ სხვა ელფერი დაპკრავს.
გეხმის ამ გულის ძგერა,
გაუწყდა სიმი საკრავს.

თუ დაიჯერებ

საუცხოოა
ქართული გენი;
ძირძველ მაგიას
ვერ მივაგენი;
ზოგჯერ სანდოა
ეს ჩემი შიში;
რადგან სხვა დროა
ჯიშს ებრძვის ჯიში;
თუ დაიჯერებ
ჩემო პანტერავ,
სიკვდილის ფასად,
ვრჩები ქართველად.

კრავის დუმილი

მიყვარს სიჩუმე მთვარიან ღამის,
ბილიკს მივყვები ფიქრებით მთვრალი;
როს გაიელვე წემს თვალწინ წამით,
გისიგრძებანე დუმილი კრავის.

ვისაც შევხედავ, შენ იყო მინდა...
და დასანახი რომ დაინახო;
ასე მგონია, სიყვარულს წმინდას,
გერ ეკარება დემონი ახლოს.

მრავალჯერ

როცა მივყვები ხვეულ ბილიკებს,
ბედი სამსალას მასმევს ფიალით...
ვინ წარბებს შეკრავს, ვინ კი ქილიკებს,
მილეთი ხარობს ორომტრიალით.

მრავალჯერ ისე გამოიკვეთა,
მოჭრილი ხიდან სკდომა კვირტების,
თითქოს გარსკვლავმა მთვარე გაკვეთა
და მიმოირწყა შარა ცის ცრემლით.

გულს ეფონება

ვეალერსები გაბადრულ ცისკარს,
მალიმალ შევთხოვ უფალს ვედრებას.
ზმანება წეწავს წუხანდელ სიზმარს,
აწმყო მაინც არ მეიმედება.

რადგან სიავის მძლავრობს სამხილი,
გულს შვებად ალბათ ისიც ეყოფა,—
ნამგალა მთვარე ცურავს დაღლილი,
გამკლავებია ღრუბელო ხელყოფას.

ნაფერები მზის რომ მწვავს ალმური,
გავეზიარე ლექსით ალიონს.
გულს ეფონება ხმა სალამურის
და ბოლი ასდის ბუხრეკ ყალიონს.

გხედავ

არ მახალისებს დინება დღეთა
და მდუმარების უხმო ქირქილი.
ხალისის საზღვარს ისევ ვერ ვკვეთავ,
წარსულის განცდის კვდომას მივკივი.

ვერ დაგივიწყე, გულში იმედი
უნდა აფეთქდეს და აიტაძროს.
აგიუმაჟების ზღურბლთან მივედი
და ვაქუცმაცებ სულიერ საზრდოს.

ვხედავ, სიცოცხლე ურცხვად ხალისობს,
აკანკალებულ ხელით გეხები.
განგების მრწამსის თასი აივხო,
მაგრამ მისახვედრს მაინც ვერ ვხვდებით.

სული აბორგდა

კვლავ გამიელვე, კვლავ მახსენდება,
ყრმობა და შენით მთვრალი
ფიქრები.

კვლავ მესიზმრები, მაგრამ
რატომდაც
წინანდებურად აღარ ირთვები.

მაშინ ეჭვებმა რომ დამაოსა,
სული აბორგდა ბინძურ სილაში.
მაინც ვერ შევძელ, ვერ დაგივიწყე,
კვლავ თავს მახსენებს შენი მირაჟი.

მარადებამს

გვ, მერამდენე დგება ზაფხული,
ცეცხლში გახვეულ წარსულის მერე.
ყელს მოიდერებს ბევრჯერ თავთუხი,
ბევრჯერ შეიცვლის ლაუგარდი ფერებს.

მამული ჩვენი, სისხლდათხეული,
ბევრის შემძლეა, ბევრის მნახველი.
მარადებამს, იყოს ზეაწეული
გვერთხი, – სიკეთის გამომსახველი.

უნდა ვამრავლოთ

ისევ ჩამესმის ჩიტების კვნესა,
ბედნიერების ნექტარით სავსე.
მერიდიანებს სხივები კვეთავს
და ოკეანე ზვირთს ცამდე ასწევს.

როს ჩაესვენა მზე დიდებულად,
შინ მიგოგმანობს ტურფა ასული...
გარემო ისე გარინდებულა,
ჰეშმარიტებამ აცრა ავსული.

არ დაგვაოკოს უკუნმა დელგმამ,
არ დასადგურდეს ცრემლი და შიში.
რომ არ იმძლავროს ურჯულო ხელმა,
უნდა ვამრავლოთ მოდგმა და ჯიში.

* * *

გამოირიცხოს ჯიბრი და შური,
რომ მოვიშუშოთ მამულის წყლული.
ნაზამთრად სულზე მეშვეოლოს გინძლო,
სისხლის თქრიალის სიწმინდე ვიგრძნო.

შემაძლებინოს

დაურვებული გრძნობის განვრცობა
ესადაგება იმ აღმაფრენას,
როცა კეკლუცობს ახალგაზრდობა,
როცა არ ძალგიძს მარტო დარჩენა.

გადაცრეცილა აწმყოს საუფლო,
ფესვგადგმულია სიმუხთლის განცდა.
უფალმა რაღაც უნდა მაუწყოს,
შემაძლებინოს ხვალამდე დაცდა.

ჯჲ მაშინ უკვე

უნეტარესი ქალის სინაზე,
რომ გაზიარებს უსასოოებას,
გალდებული ვარ მრწამსის წინაშე,
გავითავისო უსაზღვროება.

მოწყურებული შევიგრძნობ როცა,
აგიუშმაჟებულ ალერსის სითბოს,
ჯჲ მაშინ უკვე ძნელია მოცდა,
ქუხილი უნდა ბოლომდე ვიგრძნო.

როს შენი ლანდი

იმ წინათგრძნობის მრწამსი მაშინებს,
უშენოდ ყოფნის ქარტეხილია.
ვხედავ ჯურდმულის ხახას საშინელს,
ხოდაბუნებიც დამეწყრილია.

ნუთუ გაქრება ნანატრი უამი,
დაიკონკება წინსვლის სამოსი.
ისევ თამამად დამჩხავის ყვავი,
კვლავ მედიდურად მეფობს ქაოსი.

იმ მიუწვდომელ მწვერვალის ხიბლი,
სამყაროს ფერთა ციაგით ამკობს.
სიმწრის ზმანების ქარცეცხლით ვიწვი,
როს შენი ლანდი ამშვენებს ტატნობს.

სიხარულით

იმისთანა დარია,
მგონი სულიც მწვანდება.
გული მიგრძნობს, რატომდაც
რაღაც გამიხარდება.

ცრემლნადენი თვალები
სიხარულით ბრწყინავენ;
უსახლკარო იმედი
სხივში დავაბინავე.

გპოვე

არ მიფიქრია შენი დათმობა,
თუმც ზოგჯერ წყენად
გამიავდოდები.
დღე უკუნეთით არ შემიცვალო,
არ შემიცვალო ეკლით ვარდები.

არ შემიცვალო რწმენა ყოყმანით;
გპოვე, შენს გარდა არავის ვეძებ.
რადგან მინდიხარ, რადგან მიყვარხარ,
ჩემი არსება უშენოდ ვერ ძლებს.

რით ვითავისო

ადარ მიყუჩდა წუწუნ-ბუზელუნი,
არ ვიცი როგორ აგხსნა ზმანება.
განთიადს მუდამ ყველრის უკუნი,
როს სივრცეს სხივი ესადაგება.

ლურჯ სიშორეში იხრჩობა მრწამსი,
შენზე ნაფიქრი მორევით სავსე;
იქნებ გავტეხო როგორმე ნავსი,
ზარი ვაკვნეხო გუმბათის თავზე.

თვალს და ხელს შუა გაქრა სიზმარი,
თითქოს მიწია ეშმაკის კრულვამ.
რით ვითავისო შენი ცისკარი,
როგორ ვიომო ლახვარდაკრულმა.

დირსი

ჩვენი სიცოცხლე წამიერია,
ო, ეს წამები, რა სწრაფად
გადის.

ბევრი ვარამი დაგვიძლევია,
არ ვიცით, ბედი ვის რას
გვიქადის.

კაცობრიობას არ მოეშლება
ოცნების სხივი და იმედები...
მამული გვიხმობს! სამშობლო
გვრჩება, –
დირსი ხატყოფის და
გაღმერთების.

ვერ შეატოკებს

კვლავ გადაივსო საფერფლე,
უპვე ბახუსიც მძლავრობს;
მოკვდავო ლამის გათეთრდე,
ლიუციფერი ხარობს.

გახანგრძლივდება ხვალე,
იმ სინანულის ჟამი...
სამოთხის მძიმე კარებს
ვერ შეატოკებს ხანი.

მითხარ

ვერ განავრცეს სახელი
იდუმალმა საგნებმა.
სიუცხოვის დარჩენის
მესმის ქებაც, ძაგებაც.

გამივლია რადგანაც
გზა სწორიც და მრუდეც,
წინათგრძნობის განსაზღვრა
მთელ სიცოცხლეს უდრის.

დასაკარგი ბევრია,
უიდბლობა სულს მაძრობს.
მითხარ, საით მელიან
ბედო, მკაცრზე მკაცრო.

სითეთრე დილის

მზე ჩადიოდა მეწვოდა სული,
როს სევდიანად ჟღერდა ფანდური.
ზეშთაგონებით გარემოცული,
ვიდექი შენს წინ წელგამართული.

გადაფურჩქნული და გაურყვნელი,
სითეთრე დილის უმალ დნებოდა.
მედგა ცხოვრების მძიმე უდელი
და საწადელი არ სრულდებოდა.

ვერ წავეპარე

გადმომაფარე სინათლის კალთა,
არ მოვიშხამო კვლავ სიძულვილით;
იმ, გაღიმებულ ოცნების კართან
ჩაცვარულია მადა წყურვილის.

აპა, შევყურებ როგორ თენდება,
ნიავი ნისლის ცრემლებს ატოკებს;
გჲ, ერთ დროს ტკბილად გამახსენდება,
ვერ წავეპარე ხოხობს სათოფედ.

შენი ჩურჩული

აჲა, თენდება, ღამის წყვდიადი
მიმოიფანტა უთვალავ ფერად.
გამოიკვეთა სხივის ციალი,
ვედარ მივაწვდენ ვარსკვლავებს მზერას.

გამოემიჯნა წკვარამს ნათელი;
შენი ჩურჩული ჩამესმის ნაზად;
ვიცი, რაღაცა დაგრჩა სათქმელი,
მაგრამ გულის კარს ბოლომდე რაზავ.

ალბათ ამიტომ

როდის იქნება? რომ ნაფიქრალი
გადმოიფრქვევა ნანატრ ლექსებად...
როდის იქნება? სასიხარულო
ცრემლით ოვალები, რომ ამეგსება.

ეჲ, ბევრი ნატვრა გაუფასურდა,
ბევრი ოცნება ჩაქრა მაშინვე;
ალბათ ამიტომ, აღარაფერი
აღარც მიკვირს და აღარც მაშინებს.

სისხამის ციაგს

შენზე ფიქრები აღარ მასვენებს,
წარსულისაკენ ვიბრუნე პირი.
სარკმელს ჟუჟუნა წვიმა ასველებს,
სასიხარულო ცრემლებით ვტირი.

ვერ დამაჩოქებს დროის დინება,
მარადისობა იდუმლად მიყეფს.
გული მარადეამს შენთან იქნება,
სისხამის ციაგს შევესწრო იქნებ.

ვერ გიზიარებ

კვლავ აკეპლუცდა სიზმარში
უზესთაესი არსება;
რადგან სიცოცხლედ მიმაჩნდი,
უშენოდ გული გასკდება.

ვერ შევეჭიდე ჯეროგნად,
ბედნიერების მარწუხებს.
ტკივილად ისიც მეყოფა,
ვერ გიზიარებ ამ წუთებს.

შხუოდეს

მოსაგონარი წარსული
ცხოვრების თეთრი სვეტია,
მაგრამ სიწმინდის კარები
მავანთ, კვლავ ჩაუკეტიათ.

მთავარი მაინც ის არის
მტერს დავხედეთ მამაპაპურად...
და ჩემი წილი ისარი
შხუოდეს, ვითარც მარულა.

გაუმთელდება

ეს, მრავალ ციხე სიმაგრეს,
აღარ ჩამოვთვლი, რადგან ბევრია,
აღარა შესწევთ ძალა გაძლების,
აღსადგენია, მოსავლელია...

და პა, აგწიოთ თითო აგური,
ავახმიანოთ სულის ზარები;
გავაცისკროვნოთ გული წარსულის,
გაუმთელდება მამულს ბზარები.

მიკვირს

შფოთვა დასრულდა,
მაგრამ რატომდაც
არ მიხარია.

ხშირად უტყვი ვარ,
გატრუნული,
როგორც ხარია.

განსაცდელის ჟამს,
ისევ დუმილი, –
მიკვირს ძალიან.

უნდა გავწიროთ

რეკავს ზარები ზარზმის,
ეხმიანება ლაშქარს...
მხარზე ბულბული მაზის,
წელზე მიელავს დაშნა.

თუ ბრძა მომავლის ჟამი,
საომრად გვიხმობს როცა,
უნდა გავწიროთ თავი,
არ დაგიმარხოთ ცოცხლად.

ჩამოკრა ზარმა

კარს მომდგომია რადგან სიბერე, ამაოების ურჩი მონა ვარ.
დასაჯერებელს ძნელად ვიჯერებ, ვემსახურები შვილს და მომავალს.

ჯახირ-ჯახირში გადის დღეები,
ერთი მეორეს, არც ერთი არ გავს.
წუთისოფელმა შემასისხლეორცა
ყოველ ცისმარე რაღაცის ქარგას.

რაც გავიარე ძალზე მცირეა,
არ ვიცი კიდევ დამრჩა რამდენი.
უნდა ჩამოკრას ისევ ზარებბა,
უნდა აინთოს კიდევ სანთელი.

და დამიბრუნე

შეადამეა, მძინარს ჩამესმის
ხმა, რაღაც მკვეთრი, ცბიერი, ფლიდი;
არ ვარ ჩვეული ამ ძილბურანში,
ამდენ ბორგვას და სიზმართან ჭიდილს.

ამ კოშმარების ორომტრიალში
გამძაფრდა სულის კივილის ექო;
მეტს ვედარ შევძლებ, გამომაფხიზლე
და დამიბრუნე სიცხადე ღმერთო!...

შემომაგება

ქარმა დაპბერა, მიმოიფანტა
დროში დამწვარი ოცნების ფერფლი.
გაუფასურდა, უმიზნო დდეთა
უგანაჩენო ჩხრიალი ვერცხლის.

კმარა ბახუსი, კმარა მოცდენა,
თანდათან წარბს ხსნის იმედი ხვალის.
წელში ვსწორდები, შენზე ოცნებამ
შემომაგება მედგარი მხარი.

გჲე ცხოვრებამ

ამ მუხანათურ ცხადსა თუ ძილში,
იმ სახვალიო გზას რომ ვხატავდე,
იქნებ დავძლიო იმ განცდის შიში,
როს მეუფლება ცისკრის ნახვამდე.

ეს ყველაფერი თუ სიზმარია,
როგორ მივხანჯლო ბოროტის ფესვი?...
არც ოცნებებში არ მიმგზავრია,
თუკი სათქმელი ბოლომდე ვერ ვთქვი.

რადგან მოკლდება ჩემი შარა-გზა,
არ აქვს საზღვარი მეხის მოლოდინს.
გჲე, ცხოვრებამ ვინ არ დაზაფრა
ვინ გაიტანა ლელო ბოლომდის.

მაგრამ რატომდაც

ვედარ ვიჯერებ ზღაპრად ნაამბობს,
საფლავთ მოსცილდა ლოდების გროვა.
საწუთროს აბა როგორ ვაამო,
როს სიხარულზე მეტია გლოვა.

იმ მოწყვეტილი ვარსკვლავის მჯერა,
რომელიც წუთით მომივლენს ელვას;
მაგრამ რატომდაც არ ვიცი ჯერაც,
ვინ როგორ ჭრის და ვინ როგორ კერავს.

უუნებურად

როს სასიკეთოდ მეცვლება ნირი,
რაც უკუღმაა წადმა წავმართე.
გულმა შეიგრძნო დადადი მწირის,
ჟამის სიმძაფრე თითხნის განაჩენს.

განგება მაინც თავისას იტყვის,
ფესვს ვერ იკიდებს მრწამსი შენდობის.
უუნებურად ქარწყლდება ფიცი,
ჩრდილში გაყურსულ სინდისს ვენდობი.

აღუდუნდება

წიწვოვან გორებს თავს ვერ ვანებებ,
ჯიხვის ნავარდი ამშვენებს ქარაფს.
გაცლია სიქა ძველ-ძველ ზმანებებს,
აწმყოს ვერ ვაცლი მტკერსა და ტალახს.

დაძრწის ფიქრები ქარივით ჩქარი,
სანუგეშოა სხივის ციმციმი.
საშინელია და გულსაკლავი
დაკოდილი ხის სიმწრის სიცილი.

არ დააყოვნებს ავდრის ხორხოცი,
აღუდუნდება ძველი ბუხარი.
მონანიებით, უბიწო ლოცვით,
ჩაცხრება სული ნაქარბუქარი.

ისე დამწყვიტე

დიდი დამეა და ნერვებაშლილს
არ მეკიდება არარა რული...
ეს გაწბილება შებოჭილს დამშლის,
ისე დამწყვიტე ძვირფასო გული.

ამ უსაშველო ქართა გნიასში,
კვლავ იმ ბინულის მესმის რაკრაკი,
როს ვეხვეოდით ერთად სილაში,
როს სიყვარულის მაღლით გავქავდი.

ვერ დავიოკე

დილის სისხამზე კვნესის ჩიორა, —
შველას ითხოვსო, შველას მამული.
ახლად ფეხადგმულ შვილს გულში
ვიკრავ,
გამძაფრდა ჭერში ფორთხვა ღამურის.

ვერ დავიოკე ოხერი გული,
ზამთარი წასვლას ჯერ არ აპირებს;
ცახცახებს ყინვის ქათქათა სული,
სიმშვიდის ხიბლი ძარცვავს ნაპირებს.

ჩემი გრძნობები

თვალსაწიერი იღუმალდება,
მრავლისმთქმელია ნათება
მკრთალი.

მადლია, როცა ხსოვნაში რჩება,
ტკბილ-მწარე კოცნა მშვენიერ
ქალის.

ყველაფერს, აბა როგორ გავშიფრავ,
როცა თვალებში თვლემის ნისლია;
მონატრებისგან თავს ვგრძნობ
საშინლად,
შენი კვლავ ხილვა არ შემიძლია.

ჩემი გრძნობები ნისლში ბარბაცებს,
სუნთქვაშეკრული ციმციმებს ვნება...
თუმცა რიტმებმა სულ მთლად
გამძარცვეს,
კვლავ სასიმღეროდ თავს
მივაც ნება.

მზესავით ბრწყინავს

თუკი გინახავთ, ოდესმე ვინმეს
კონტა, ლამაზი სოფელი კირცხი,
წარმოსახვაში ის მარად გიწვევთ,
როგორც ქოველთვის, ხელგაშლით
გიცდით.

ახლა შორსა ვარ, მაგრამ მგონია,
თითქოს ხელს მიქნევს ძელქვა
ლეტეშის.
ახლად ამოსულ მზესავით ბრწყინავს,
წარსულის ხიბლი ჩემს იმედებში.

როცა მალიმალ შრიალებს მდელო,
საოცარია უთუთის გორა;
რა დამავიწყებს, აბა იმ ასულს,
ერთხელ სიზმარში რომ მიამბორა.

თუკი გინახავთ, ოდესმე ვინმეს
კონტა, ლამაზი სოფელი კირცხი,
მაშინ მიხვდებით, რომ მენატრება
და გულმხურგალედ ისიც რომ
გიცდის.

და ყველაფერი

გულურის ტოლია ამ ბუღში დაღლა,
გაასმაგდება ნატვრა ქარისა,
როდესაც ერთ დროს, იმ მოსეს აღალს
სწყუროდა წყალი იორდანისა.

იმ წყურვილებმა სად არ იარა,
ვის აკვნესებდა ვის კი ალხენდა,
ბევრს მოუშუშა თითქოს იარა,
ბევრმა მიუშვა თავი სახედნად...

და როცა ტალღა ისევ თამაშობს,
იმ ქანაანის ირხევა ფარდა,—
შევეჭიდები ბევრჯერ ქარაშოტს
და ყველაფერი, სიკვდილის გარდა.

არ იკარგება

მშვენიერია ბავშვთა ანცობა,
ვით უწმინდესი ქალის მანძილი.
ვინ არ ჰმონებდა ვნებით დათრობას,
ვის არ ზექრავდა ტრფობის აჩრდილი.

როს ეცვათ დედებს კაბა ქათიბი,
არვის ჰყევდრიდა ალალი ლუქმა;
წარსულს ჩაბარდა უამი ნატიფი,
არ იკარგება თვითგვემა უქმად.

იმედის სხივი

მიხმობს განწყობა ბრძოლის და
წინსვლის,
უნდა ვაპკურო შხეფები ვარდებს.
ავყეფდი როგორც ქარის წისქვილი,
ტაიჭით ველზე გავინავარდე.

თითქოს გაგვეთე სინათლის ზღვარი,
იატაგანი ავაბზრიალე.
გულზე დაეხო დრუბელს ლახვარი,
იმედის სხივი კურნავს იარებს.

რომ დღეს

რაღაც მოშეუის, მიწა ტორტმანებს,
ამოცისკარდა ზღაპრული რაში,
გადაუფრინა ველებს, გორმახებს,
ბერმუხამ დრუბელს უთაქა ყბაში.

რაში განუდგა ამ ბნელ სამყაროს,
იკაროსივით აიჭრა მზის კენ...
გაოგნებულმა, უნდა ჩავთვალო,
რომ დღეს უფალი ჩემს დაღადს ისმენს.

ვის განადიდებს

ვინც ტრფობის ქარცეცხლს
არ თვლის არაფრად;
უფასურდება მისი ბარაქა;
მას აგულქვავებს დავიდარაბა,
უაზრო ბუტბუტს ჩათვლის
ქარაგმად.

ეჰ, სიყვარული, ვის არ იტაცებს,
ვის განადიდებს, ვის კი აკნინებს...
ო, იმ სანუკვარ წამთან მისვლამდე,
ფრთა მოსტეხიათ ბევრჯერ არწივებს.

ამ საწუთოში

რომ ვერ ავყვი ცხოვრების დვრიტას,
ვერ შევიმეცნე ნუგეშის მადლი.
გაუცხოება სასწაულს იტანს
და სიახლოვის შორეთში ბარდნის.

ეჰ, გახსენებაც აღარ მინდება,
ეჰ, გული ამდენს როგორ დაიტევს...
ღმერთმა წყალობა თუ არ ინება,
რისხვა ოცნებას თქეშად წაიღებს.

მოფრინდებიან ისევ მერცხლები,
გამოიარეს გზა ულმობელი.
ამ საწუთოში ძლივსლა ვჩერდები,
გამწუთხებულა წუთისოფელი.

დედაო ქართლის

დედაო ქართლის!

მიწყალობე სიმტკიცე ხვალის,
რომ შევძლო მოხდა
ბოლომდე ვალის.

დედაო ქართლის!

ეგ დვთიური შემახე ხელი,
დამალოცვინე კირითხურო,
მთესველი, მხვნელი.

დედაო ქართლის!

დაგვიფარე, ვით გვიფარავდი;
ერს მოუვლინე დიდების მადლი –
აწ და მარადის.

განვსჯი

წუხილსა და ურვაში
მოვიარე გარემო;
ბევრჯერ ჩავრჩი ბურანში,
ბევრჯერ მახე დამეგო.

დამეული ცდუნების
არ ჩანს ძღვენი ნანატრი;
უხიაგი ბუნების
საიდუმლოს ვმალავდი.

მხრებზე ტვირთი დამძიმდა,
რას მიმზადებს გამჩენი?...
ვიცი? განა რა მინდა –
განვსჯი დდეებს დარჩენილს.

სადღაც

სულის ანათემაშ
ძლივსღა გაათენა.
დარდი განმიქარვა
დილის ნიავქარმა.

ჭალის ხეთა კრთომა
სუნთქვას ეამბორა.
სადღაც იმალება
მისი ბრწყინვალება...

სად წადი

ჩამესმა ბურანში
ვერხვების შარი-შური.
აივსო მუდარით
სიზმარში დანიშნული...

გუნება გათანგა
აისის სიმძაფრებ;
სად წადი, სადა ხარ,
გზას რად არ მინათებ.

ლამეული ფიქრები

ო, რა მნელია დამეული ფიქრების სევდა,
გალიგგებული გულის ძეგრის უტყვი პასუხი.
ო, რა მნელია, უგვირგვინო ოცნების სეტყვა
და მთვარეულის აღტკინების უშნო ბახუსი.

ო, რა ძნელია, მიკნაული გულის ფრიალი,
დაწყვეტილ ნერვთა უსაშველო
შვოთვა-გოდება.

ო, რა ძნელია დამწვარ ფრთებით ცაში
რეალი,
როცა სხეული უკან წყვარამს უახლოვდება....

ბოლოს

აბა, როგორ არ ვადიდო
ქართულ გენის მაღლი;
ოდიოთგანვე ჩვენს სულებში
სათხოება ბარდინის.

ბევრმა, ვინც რომ შეგიფარეთ,
ბოლოს მახე დაგიგო;
დროულად კერ ვითაგისებთ
საკეთებელს – სარისკოს.

თავის სვებედს

გართ,

ცას და მიწას შორის
გამოკიდულნი;
გულების სითბოს
გავურბით და
ხან ვეძებთ სანთლით...
ალბათ სიცოცხლე,
სიზმარია
ცხადში ხილული,
რადგან წინასწარ,
თავის სვებედს
ვერავინ გათვლის.

შემაძლებინე

ამ ჩემს ტრფიალში ჩავქრები,
ამ ვარამს გულში ჩავიკლავ;
მაგრამ საერთო სატკივარს
ამოვიგმინებ მაღი-მაღ.

არ დავიჩემებ მამულო!
რომ მნათობივით გინათო;
შემაძლებინე უფალო,
რაც პაპამ შეძლო წინათო.

არ დაიკარგოს

დღე დღეებს მისდევს,
დამე დამეებს,
ვერ განვიქარვე სევდა.
სული დაოსდა, გამოიფიტა
და გულიც ძლიგსდა ფეთქავს.

ღმერთო, მარგუნე ძალა
ისეთი,
რომ დავიოკო განცდა;
არ დაიკარგოს, ნდობის
შეგრძნება
და კაცის დგომა კაცოან.

უკარება

ეკლიან გზის ჩხვლებას ვჩივი,
ვერ შევალე ტრფობის კარი,
შემწყრალი ვარ, შელოცვილი,
ჩამესვება სულში ბზარი.

ბინულივით მორაპრაპ,
ეს ცრემლების ჩანჩქერია.
უკარება სინარნარე
გულში ლახვრად ჩამრჩენია.

უნდა გიმლერო

უნდა გიმლერო, ჩემო მამულო,
მინდა, ბრწყინავდე როგორც მთიები;
მინდა, ალალად რომ გემსახურო,
ვერ გვაცდუნებდეს ყოფა ცბიერი.

მინდა, რომ ჩვენში მარად ხარობდეს
ხოდაბუნები, ვაზის ყლორტები.
კაცი უაზროდ აღარ ავობდეს,
აღზევდეს ჟამი გამოცოცხლების.

გადმოიდგარა ლექსად ფიქრები,
ჭეშმარიტებას ვეთაყვანები...
ისევ და ისევ, ერის დიდების
და გამარჯვების გვიხმობს ზარები.

ხვალ

სული-წმინდის სიღიაღის
მოზღვავებას ვიზიარებ.
თემშარაზე ისევ ბარდნის,
სუსხი წიწვნის ცის იარებს.

გვ, რატომდაც ვეაჯები
განჩინების განივთებას.
კეპლუცობენ დღეს ქაჯები,
ხვალ მზის გლოვა დაიწყება.

პოეტს

ჯერაც შორსაა ქამი სიბერის,
გაქვთ შემართება ახალგაზრდული;
რომ დავფიქრდები, როცა გიცქერით –
მხრებს არ გიმძიმებთ მძიმე
წარსული.

ხართ ამაყი და შეუპოვარი;
ეს თქვენი დვაწლი მართლაც
დაფასდა.
მაშინ იქნება მყოფადი მძლავრი,
როს გადიქცევა ერთი ათასად.

ძნელად

გაწილებული იდუმლად გეტყვი,
რომ ავხმიანდეთ ტკბილ საზანდრებად...
სუნი მცემს ავდრის, თოვლის და სეტყვის,
გწუხვარ უდროოდ თუ დაზამთრდება.

წვიმა ამაღამ უთუოდ მოვა,
დაუსველდებათ ჩიტებს სახლ-კარი;
თუ უნებლიერ დაიწყებს თოვას,
შეიმოსება მიტკლით მთა-ბარი.

ამ საგულეში ფეთქავს აპრილი,
ტრიალებს სულში მზე და ბადახში.
დღევანდელობა ვიცი დამცინის,
ძნელად ორთქლდება ბინდის ნახარში.

სიახლე მინდა

თითქოს ვერ მხედავ,
თითქოს ვერ მამჩნევ;
ვერ ვაუფლები
საუფლო საშველს.

გაუცხოების
სიახლე მინდა;
ღრუბელი ელვის
მაშხალას წინდავს.

გამოანათე

მაინც წახევედი, მაინც წახევედი
და დამიტოვე გულში ნაღველი;
არ შეისმინე ჩემი ვედრება,
იქნებ მოხვიდე კიდევ ერთხელაც.

იქნებ უწამლო ამ გულს დარდიანს,
დემონებს სული დაუბარდნიათ...
დაკოჭლდა ჟამი სამარადისო,
გამოანათე დროზე აისო.

მრავლისმეტყველი

ამ გაურანდავ ჩემს საგალობელს,
თუ ჩიორები ისევ მღერიან,
უფალი შვებით დამაწყალობებს,
შევიმოსები როგორც ფერია.

დარჩება ჩვენი სიტყვა და ლოცვა,
მრავლისმეტყველი სულის ქარტია...
არ შემიძლია აქ დიდხანს მოცდა,
რადგან ეპურა ცრემლი მანტიას.

იდიდე

წარბშეკრული და უხასიათო
ველოდი ამ დღეს;
ეს განთიადი, უნიათო
სინათლეს აფრქვევს.

დაქ, ვეზიდო გოლგოთის ჯვარი
მოყვასის გამო;
რომ განვიქარვო მეც წუთით ჯავრი –
იდიდე ჟამო.

ვერ მოგიხადე

ჟამთასვლას ებრძვის ზვიადი ნება,
აპა აფეთქდა ვაზის ყლორტები;
სიზმრის ახდენა ისევ მინდება,
რადგან გიხილე როგორ ირთვები.

ვეღარ ვშორდები ნაზმანებ ნაპირს,
კვლავ აწიწმატდა ფიქრები თარსი;
არ გამიწყდება იმედი ხვალის,
რადგანაც ფიცის ერთგული დავრჩი.

ამაყად მიმზერს ლურჯი ცის თვალი
და უზნეობა რომ ვერ ვიწამე,
ვერ მოგიხადე ბოლომდე ვალი,
ვერ შევიფერე შენი სინაზე.

სულს

სიკრცე მშვიდდება, მე ვერ ვმშვიდდები,
რას ვიმოქმედებ არ ვიცი ჯერაც;
სტვენით იკლებენ ზეცას ჩიტები,
ვეპაექრები ჩემს ბედისწერას...

მინდა, რომ იყოს უფრო მოწყალე,
გამიხალისოს გული ბებერი.
სულის სატკივარს ვერ ამორწყავენ,
თუ არ ვიქნებით მიმტევებელნი.

გახშირდა

როგორ დახრიან ვერხვები ტოტებს,
თუ არ მიეცა საფიქრალს წონა.
მოსახლენი ხომ, არ უნდა მოხდეს,
არ შემძრას ტვირთქვეშ გასრესის
ძრწოლამ.

გახშირდა შუბლზე სიქენჯნის ცვარი,
აზრი არა აქვს ბედზე მინდობას.
ვის არ წალეკავს, ამ მოის და ბარის
თავგასულობა და წყალდიდობა.

განგებამ

არ წაიშალა ის მონატრება,
ვერ დამავიწყა ზღვამ და ხეობამ;
მაგრამ არ ვიცი რად მელანდება,
ცას ცისარტყელა რომ ეხვეოდა...

ნაცარა ჩიტი მოფრინდა ისევ
და იკეპლუცა როგორც ეწადა.
ამაოდ ვდიე იმ ზღაპრულ ირმებს,
რადგან გაწვიმდა, რადგან შედამდა.

ვედარ ვპოულობ ალიაქოთში,
აქ ძალლის კუდი თუ სად მარხია...
და უშენობის სუსხით გათოშილს,
განგებამ რისხვა თავს მომახვია.

ელვამ

კვლავ ათუხოუხდა ვენებში სისხლი,
კედარ გამრთელებ ამ გულს დაკორტნილს.
შემომიტია საწუთოომ რისხვით
და აცუნდრუკდა უამი გამოცდის.

ვერ გავემიჯნე ძალას უხილავს,
ვერ ვითავისე ვარდების თოვა.
გადავქცეულვარ უხმო წუხილად,
გამაპირქუშა სიმშვიდის ძრწოლამ.

აუგალახდა მრუდე გზა-შარა,
გაწილებული ფიქრის ნაკვალევს.
ელვამ ბინდ-ბუნდის ზვირთი დაშალა
და აღრენილი რისხვა კანკალებს.

სულ ზედმეტია

მშობლიურ მიწის საკვირველების
იღუმალ ძალას შევთხოვე შეელა.
აყვავებული მინდორ-ველების
ამოუცნობი სიწმინდის მჯერა.

ვედარ განვსაზღვრე წონა და ზომა,
ხილულ მშვენებას ვერ შეველიე.
სულ ზედმეტია იქნებ ეს კვდომა,
რადგან ცხოვრების ზვირთს შევერიე.

ვერ მაიმედებს

ამ მთების თვალის შეგლებაც მყოფნის,
რომ დაგფრთიანდე ბუნების მადლით.
მუხლმოდრეკილმა დავწურე ოფლი,
სულ ში ვარამის ფიფქები ბარდნის.

ვერ გამიგია ადამის ძეთა,
გამუდმებული შურით გნიასი.
ვერ მაიმედებს შრიალი ხეთა,
ვერ გავახარე ვარდი სილაში.

ჩირაღდნად იწვის

გადაირბინა წლებმა გრიალით,
მათრობს სურნელი ცისა და მიწის.
სიჭაბუკის და ყრმობის ტრფიალი,
ჩემში სიცოცხლის ჩირაღდნად იწვის.

განვლილ ცხოვრების ნაფეხურს წაშლის,
ასე გულუხვად მოსული თოვლი.
სურვილი მითრევს ოცნების ზღვაში,
აცრემლდა თვალი წამწამის თრთოლვით.

მგონი აკვნესდა ჩუმი შუადღეც,
მესმის გნიასი ბებერი ზამთრის;
არ მინდა აწმუო უკვალოდ ჩაქრეს,
ქარბუქი ფიქრებს სახეში მაყრის.

რადგან დამძიმდა

როს ნაფიქრალით ვაგსებდი ფურცლებს,
ქარცეცხლში რითმის ბრჭყალებს
გკვალავდი.

შაშვის გალობა მომესმა უცებ
და გამიშემდა ხელში კალამი...

მის წყლიან თვალზე მოსწყდა ღიმილი,
ააწკრიალა ჰანგები მშვიდი.

ვერ ვითავისე ყველა ტკივილი,
რადგან დამძიმდა ცხოვრების ტვირთი.

რომ არ მიენდოს

მომბეზრებია გვემის ყურება,
ვინ არ გამხდარა მიწის ულუფა.
ტანჯული სულის უბედურება,
მდუღარე ცრემლებს კვლავ გაულუმპავს.

დაკოდილ გულის ამ გამოძახილს,
გათელილ ზღუდის დათმობა არ სურს;
მოკვდავი მაინც თავს ისე არ ხრის,
რომ არ დაეყრდნოს დაბოლმილ წარსულს.

მყოფადის მრწამსი

სულს ესალბუნა საგალობელი,
დააფრთხო დამის მოახლოვება;
ამ ჭიდილისგან რაღას მოველი,
როცა განწყობა მიზანს შორდება.

როგორ აჟდერდნენ ო, ეს პანგები,
თითქოს ადზევდა გენი სუფრიდან.
დამენათევი რადგან ჩავქრები,
გოდება ჩემი არვის უკვირდა...

და ეს უსაზღვრო ფიქრების ჩქერი,
თუკი ათრთოლდა ათინათებად,
გარდასულ წამის შენიდბულ ცქერით,
მყოფადის მრწამსი განისაზღვრება.

უნდა განახლდეს

განკურნავს ოდეს, (მე ასე მჯერა)
გულისტკივილს და მუხდალ სადარდელს,
შენი თვალების გამჭოლი მზერა,
ოცნების სითბო ამწევს ცათამდე.

თქორი ზამბახებს კვლავაც დანამავს,
ისევ სათუთად ვინახავ სათქმელს;
მას ბოლო-ბოლო ვეღარ დავმალავ,
თუმცა ეს გრძნობა უთქმელად დავთმე.

უნდა გაიხსნას ახალი სივრცე,
უნდა განახლდეს დვრიტა და მზერა...
შენი გოგმანი მახარებს ისევ
და სასწაულის ახდენის მჯერა.

რედაქტორისგან

გამოგაფხიზლა ხეთა შრიალმა,
შეგრძნებადია დუმილი დილის.
მთაში მეწყერმა დაიგრიალა,
აპა, განგაშის სირენაც წივის.

უნდა გახვიდე იმ შარაგზაზე,
სადაც ეკლები გასისხლიანებს;
გაყურსულია ჯიხვი ქარაფზე,
მტლად დასდებია შფოთი იარებს...

და ჰა, ზამბახთა შემოგარენი
საიდუმლოთა ინახავს ნუსხას...
დაჯავშნილია გასახარელი,
გულს ჯადოსნური ჭინჭარი სუსხავს.

პ. ქ.

ს ა რ ჩ ე ბ ი

დილის დუმილი.....	3
შეგვება.....	4
* * * ოუ.....	4
და უცაბედად.....	5
* * * სული.....	5
არ მინდა.....	6
რომ შეგასმინო.....	6
შენატრის.....	7
გამთასვლის გამო.....	7
მომავლის რწმენის.....	8
კვლავ გუგუნებენ.....	9
თვალს გვისხნის.....	9
ბრძა აღსარება.....	10
* * * საცდურის.....	10
არ დაძაბუნდეს.....	11
* * * ბევრ რამეს.....	11
რომ მიმოვახლო.....	12
* * * შეუის.....	12
არ ჩანს.....	13
* * * როცა მიხვდება.....	13
უნდა გაგხედნო.....	14
შესალოცია.....	14
როცა სიჭაბუქეს.....	15
აფი ფიქრი.....	15
სიზმარი წუხანდელი.....	16
როგორც უნდა.....	16
სატურთხეველთან.....	17
* * * ღმერთმა.....	17
ბოდმის სამსალით.....	18
შენი თვალები.....	18
ლირსების მადლი.....	19
ქარი მუქარით.....	19
განცდა.....	20
კრძალვით ვეხები.....	20
როგორ ვაღმერთე.....	21
* * * გაზაფხულია.....	21
უყოფმანოდ.....	22

* * * მძლავრობს.....	22
მაეჭვებს.....	23
არ მომასვენებს.....	23
რადაც იცვლება.....	24
თვალს თუ ამიხელს.....	24
ნაწრთობი ფიქრი.....	25
ჩემში.....	25
შენი გარამი.....	26
* * * ვუმზერდი.....	26
არ ცხრება.....	27
უნდა შევება.....	27
შენზე მღლოცველი.....	28
* * * თვალს.....	28
როს ჩაგაწანი.....	29
* * * ბევრი.....	29
შევახო.....	30
ეს რა დამმართეს.....	30
გადმომაყარეთ.....	31
მინახავს.....	31
ვერ ითავისე.....	32
თითქოს მეტოქე.....	32
მამულს.....	33
არ შემგვეთოს.....	33
კვლავ ქაქანებენ.....	34
* * * ისევ აიგსო.....	34
განგების რისხვის.....	35
ვერ ამოვგლიჯავ.....	35
დღეს ალიონზე.....	36
ქლივსღა.....	36
რადგან ჩამქოლა.....	37
* * * არ მინდა.....	37
ვერ ვიხალისე.....	38
ქარის გნიასი.....	38
რას მიზამს.....	39
ეს სახვალიო.....	39
აროდეს.....	40
* * * განუპითხავი.....	40
წარუმდელია.....	41
ვერ ვითავისე.....	41
ტკივილი ჩემი.....	42
გაწილებით.....	42
უფსკრულის თავზე.....	43
* * * მწუთხეა.....	43

თუ ქოველივე.....	44
ერთად.....	44
დე დამეკისროს.....	45
* * * ოდუმალია.....	45
შემცნება მიჭირს.....	46
გულს დაეხვია.....	46
სუნთქვის მაღლი.....	47
ასე მგონია.....	47
ტატნობის ზღურბლზე.....	48
* * * დააბფიანდა.....	48
ყავის ფინჯანში.....	49
* * * როგორ ყვითლდება.....	49
ამ გულს.....	50
* * * მზად ვარ.....	50
შემაბარბაც.....	51
* * * ბედს.....	51
კვლავ მაიმედებს.....	52
* * * ზოგჯერ.....	52
ჟცებ.....	53
* * * დღეს.....	53
მტერს გულში.....	54
ერთად ჩავქრებით.....	54
დაისის ბუღში.....	55
* * * ისე პირფერად.....	55
არ უადვილებს.....	56
ელვის ეშხი.....	57
მხოლოდ იმს....	57
გზას ცხოვრებისას.....	58
დე დამიამე.....	59
ბეგრჯერ დავხარე.....	59
ამ ჩემს სინაცელს.....	60
გაუფასურდა.....	61
თავისუფლების ვერ ცხვება კვერი.....	61
დამუხხტულია.....	62
ჩააწიკწიკებს.....	62
მაგრამ უშენოდ.....	63
ნუ გათელავთ.....	64
ვის ესმის.....	64
მახსენდება.....	65
სულის სახადი.....	66
კვლავ შრიალგბენ.....	67
ვერ ავიცილეთ.....	67
რომ ესადაგოს.....	68

მომავლის რწმენას.....	69
ებლაუჭება.....	70
ნეტარება.....	70
მოგალ შენთან.....	71
თითქოსდა ვაგებ.....	72
კერ კედირსე.....	73
როს გულგრილობა.....	73
რომ რწმენა შემრჩეს.....	74
არ იქნება.....	75
მოგარის აჩრდილთან.....	75
სანთელს დაგანთებ.....	76
კერ გაძაგებ.....	77
აღგზნებამ.....	77
გვედირსება.....	78
რატომ.....	79
რომ მთელ დუნიას.....	79
პვლავ ზეცისაკენ.....	80
გინდა?.....	81
არ იქნება.....	81
რადგანაც.....	82
კერ კიადვილებ.....	83
მოვუბრუნდები.....	83
სიხარულს.....	84
ისევ.....	85
უანგაროდ.....	85
მაქრჭოლებს.....	86
კერ გამიგია.....	87
ჩუმი რისხვა.....	87
მზის მომქედვ.....	88
სულ სხვა.....	89
თუ დაიჯერებ.....	89
კრავის დუმილი.....	90
მრავალჯერ.....	90
გულს ეფონება.....	91
გხედავ.....	92
სული აბორგდა.....	93
მარადექამს.....	93
უნდა ვამრავდოთ.....	94
* * * გამოირიცხოს.....	94
შემაძლებონხს.....	95
გვ მაშინ უპვე.....	95
როს შენი ლანდი.....	96
სიხარულით.....	97

გპოვე.....	97
რით ვითავისო.....	98
ლირსი.....	99
ვერ შემატოკებს.....	99
მითხარ.....	100
სითეთრე დილის.....	101
ვერ წავეპარე.....	101
შენი ჩურჩული.....	102
ალბათ ამიტომ.....	102
სისხამის ციაგს.....	103
ვერ გიზიარებ.....	103
შხუოდებს.....	104
მიკვირს.....	105
უნდა გავწიროთ.....	105
ჩამოქრა ზარმა.....	106
და დამიბრუნებ.....	107
შემომაგება.....	107
გვეცხოვებამ.....	108
მაგრამ რატომდაც.....	109
უუნებურად.....	109
აღუდუნდება.....	110
ისე დამწევიტე.....	111
ვერ დავიოკე.....	111
ჩემი გრძნობები.....	112
მზესავით ბრწყინვავს.....	113
და ყველაფერი.....	114
არ იკარგება.....	115
იმედის სხივი.....	115
რომ დღეს.....	116
ვის განადიდებს.....	116
ამ საწყოროში.....	117
დედაო ქართლის.....	118
განეხვი.....	119
სადღლაც.....	120
სად წადი.....	120
დამული ფიქრები.....	121
ბოლოს.....	121
თავის სვებედს.....	122
შემაძლებინე.....	122
არ დაიკარგოს.....	123
უკარება.....	123
უნდა გიმღერო.....	124
ხვალ.....	125

პოეტს.....	125
ძნელად.....	126
სიახლე მინდა.....	127
გამოიანათქ.....	127
მრავლისმეტყველი.....	128
იდიდე.....	128
ვერ მოვიხადე.....	129
სულს.....	130
გახშირდა.....	130
განგბამ.....	131
კლვამ.....	132
სულ ზედმეტია.....	133
ვერ მაიმედებს.....	133
ჩირალდნად იწვის.....	134
რადგან დამძიმდა.....	135
რომ არ მიენდოს.....	135
მყიფადის მრწამსი.....	136
უნდა განახლდეს.....	137
რედაქტორისგან.....	138

დავით არახამია

დილის დუმილი

გამომცემლობა: „თაკვერი”

